

ფარმაკოლოგიის ტიპობრივი ტესტები
სტომატოლოგიის ფაკულტეტი

ფარმაკოდინამიკა
შეარჩიეთ სწორი პასუხები:

1) რას გულისხმობს ფარმაკოდინამიკის მცნება?

- ა) წამლის ორგანიზმში განაწილებას.
- ბ) წამლის ორგანიზმში გარდაქმნას.
- გ) წამლის ფარმაკოლოგიურ ეფექტებს.**
- დ) ორგანიზმიდან წამლის ექსკრეციას.

2) შეარჩიეთ მცდარი პასუხი:

- ა) გვერდითი ეფექტები – არასასურველი ეფექტებია, რომლებიც ვითარდება წამლის თერაპიულ დოზებში გამოყენებისას.
- ბ) ტოქსიკური ეფექტები – წამლის არასასურველი ეფექტებია, რომლებიც ვითარდება მისი თერაპიულ დოზებზე უფრო მეტი დოზით გამოყენებისას.
- გ) წამლის გვერდითი ეფექტები ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ტოქსიკური ეფექტები.**
- დ) წამლის გვერდითი ეფექტები შეიძლება მის ტოქსიკურ ეფექტზე უფრო სახიფათო იყოს.

3) შეარჩიეთ სწორი პასუხი:

- ა) წამლების შედარებითი ეფექტურობის შესახებ მსჯელობენ მათი **LD₅₀** თანაფარდობით.
- ბ) წამლების შედარებითი აქტივობის შესახებ მსჯელობენ მათი ED₅₀ თანაფარდობით.**
- გ) წამლების შედარებითი ეფექტურობის შესახებ მსჯელობენ მათი საშუალო ეფექტების თანაფარდობით.
- დ) წამლების შედარებითი აქტივობის შესახებ მსჯელობენ მათი მაქსიმალური ეფექტების თანაფარდობით.

4) შინაგანი აქტივობა:

- ა) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების შეკავშირების უნარი.
- ბ) სპეციფიკურ რეცეპტორებთან შეკავშირების შემდეგ ნივთიერების მიერ მათი სტიმულირებისა და ეფექტის გამოწვევის უნარი.**
- გ) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების შეკავშირების შემდეგ რეცეპტორების ბლოკირებისა და ეფექტის გამოწვევის უნარი.
- დ) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების აფინიტეტი

5) აფინიტეტი:

- ა) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების შეკავშირების უნარი.**
- ბ) ნივთიერების უნარი მოახდინოს სპეციფიკური რეცეპტორების სტიმულირება.
- გ) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების ურთიერთქმედების შედეგად ეფექტის გამოწვევის უნარი.
- დ) სპეციფიკურ რეცეპტორებთან ნივთიერების შეკავშირების შემდეგ რეცეპტორების ბლოკირებისა და ეფექტის გამოწვევის უნარი.

6) ნივთიერებებს, რომელთაც დაბალი შინაგანი აქტივობა გააჩნიათ, ეწოდება:

- ა) აგონისტი-ანტაგონისტები.
- ბ) ნაწილობრივი აგონისტები.**
- გ) ანტაგონისტები.
- დ) სრული აგონისტები.

7) ნივთიერებებს, რომელთაც მაღალი შინაგანი აქტივობა გააჩნიათ, ეწოდება:

- ა) აგონისტი-ანტაგონისტები.
- ბ) ნაწილობრივი აგონისტები.
- გ) ანტაგონისტები.

დ) სრული აგონისტები.

8) ED₅₀:

ა) დოზა, რომლის დროსაც წამალი იწვევს ნახევრად მაქსიმალურ ეფექტს.

- ბ) დოზა, რომელიც წამლის უმაღლესი თერაპიული დოზის ნახევრის ტოლია.
- გ) წარმოადგენს წამლის აფინიტეტის მახასიათებელს.
- დ) წარმოადგენს წამლის ეფექტურობის მახასიათებელს.

9) წამლის ეფექტურობის შესახებ მსჯელობენ:

ა) მინიმალური ეფექტური დოზით.

ბ) მაქსიმალური ეფექტის სიდიდით.

- გ) დოზით, რომლის დროსაც წამალი იწვევს მაქსიმალურ ეფექტს.
- დ) ED₅₀-ით.

10) რომელი ტერმინით აღნიშნავენ წამლებზე უჩვეულო რეაქციას, რომელიც როგორც წესი განპირობებულია გენეტიკური ენზიმოპათიებით და ვითარდება წამლის პირველი შეყვანის დროს?

1) სენსიბილიზაცია.

ბ) ტაქიფილაქსია.

გ) იდიოსინკრაზია.

დ) აბსტინენცია.

11) იდიოსინკრაზია:

ა) ორგანიზმის უჩვეულო რეაქცია წამლის პირველ შეყვანაზე

- ბ) ორგანიზმის მგრძობელობის მომატება წამლის მიმართ.
- გ) წამლის ორგანიზმში დაგროვება.
- დ) წამლის ეფექტის შემცირება მისი განმეორებითი შეყვანისას.

12) კუმულაცია:

ა) წამლის მიმართ მგრძობელობის დაქვეითება მისი განმეორებითი შეყვანისას.

ბ) წამლის მიმართ მგრძობელობის მომატება მისი განმეორებითი შეყვანისას.

გ) წამლის მოქმედების გაძლიერება გამოწვეული წამლის ან მისი ეფექტის დაგროვებით.

დ) წამლის მოქმედების გაძლიერება გამოწვეული წამლის მეტაბოლიზმის სიჩქარის შემცირებით

13) ნივთიერების განმეორებითი შეყვანისას მისი ეფექტის დაქვეითების გამომხატველია:

1) მატერიალური კუმულაცია.

ბ) ფუნქციური კუმულაცია.

გ) ტაქიფილაქსია.

დ) იდიოსინკრაზია.

14) ტაქიფილაქსია:

ა) წამლის მიმართ მგრძობელობის მომატება მისი განმეორებითი მიღებისას.

ბ) წამლის მიმართ უჩვეულო რეაქცია მისი პირველი შეყვანისას.

გ) წამლის ეფექტის დაქვეითება მისი ხანგრძლივი მიღებისას.

დ) წამლის ეფექტის სწრაფი დაქვეითება მისი ხანმოკლე ინტერვალებით შეყვანისას.

15) წამლის განმეორებითი მიღების დაუოკებელი სურვილი განისაზღვრება როგორც:

ა) კუმულაცია.

ბ) ტაქიფილაქსია.

გ) წამლისადმი დამოკიდებულება.

დ) იდიოსინკრაზია.

16) აბსტინენციის სინდრომი:

1) მდგომარეობის გაუმჯობესება წამლის მიღების შეწყვეტის შემდეგ.

ბ) ფსიქოსომატური დარღვევები პრეპარატის მიღების შეწყვეტის შემდეგ.

გ) ვითარდება ნებისმიერი წამლის მიღების შეწყვეტის შემდეგ.

დ) ვითარდება წამლის მიღების შეწყვეტის შემდეგ, რომელიც იწვევს ფსიქიკურ დამოკიდებულებას.

17) პოტენცირება:

ა) წამალთა ეფექტების სუმაცია მათი ურთიერთქმედების დროს.

ბ) წამალთა ურთიერთქმედებისას ეფექტი სჭარბობს მათი ეფექტების ჯამს.

გ) წამლის ეფექტის გაძლიერება მისი განმეორებითი შეყვანისას.

დ) წამალთა ურთიერთქმედებისას ეფექტი მათი ეფექტების ჯამის ტოლია.

18) სუმაცია (ადიციური ეფექტი):

ა) წამალთა ურთიერთქმედებისას მიღებული ეფექტი აღემატება თითოეული მათგანის ეფექტების ჯამს.

ბ) წამალთა კომბინირებული გამოყენებისას მიღებული ეფექტი თითოეული მათგანის ეფექტების ჯამის ტოლია.

გ) წამლის განმეორებითი შეყვანისას მისი ეფექტის გაძლიერება.

დ) წამალთა ეფექტების პოტენცირება მათი ურთიერთქმედების დროს

19) შეარჩიეთ სწორი პასუხი:

ა) სრული აგონისტები განსხვავდებიან ნაწილობრივი აგონისტებისგან აფინურობით სპეციფიკური რეცეპტორების მიმართ.

ბ) ნაწილობრივ აგონისტებს შესწევთ სრული აგონისტების ეფექტის გაზრდის უნარი.

გ) აგონისტებს არ გააჩნიათ აფინიტეტი სპეციფიკური რეცეპტორების მიმართ.

დ) ანტაგონისტებს აგონისტებისგან განსხვავებით არ გააჩნიათ შინაგანი აქტივობა სპეციფიკურ რეცეპტორებთან ურთიერთქმედების დროს.

20) წამლის თერაპიული ინდექსი:

ა) მინიმალური ეფექტური და მაქსიმალური უსაფრთხო დოზების ჯამი.

ბ) სხვაობა მაქსიმალურ უსაფრთხო და მინიმალურ ეფექტურ დოზებს შორის.

გ) მაქსიმალური უსაფრთხო და მინიმალური ეფექტური დოზების ნამრავლი.

დ) TD_{50} (საშუალო ტოქსიური დოზა) და ED_{50} (საშუალო ეფექტური დოზა).

21) შეარჩიეთ სწორი პასუხი:

ა) ორი წამლის შედარებითი ეფექტურობის შესახებ მსჯელობენ მათი LD_{50} -ის მიხედვით.

ბ) ნაწილობრივი აგონისტები გამოირჩევიან აფინურობით სპეციფიკური რეცეპტორების მიმართ და დაბალი შინაგანი აქტივობით.

გ) ანტაგონისტებს შინაგანი აქტივობა გააჩნიათ სპეციფიკური რეცეპტორების მიმართ.

დ) ორი ნივთიერების აქტივობის შესახებ მსჯელობენ მათი მაქსიმალური ეფექტების თანაფარდობით.

22) რომელი ტერმინით აღნიშნავენ წამლის მოქმედებას ორსულობის დროს, რომელიც იწვევს თანდაყოლილ სიმახინჯებს?

1) მუტაგენური მოქმედება.

ბ) ფეტოტოქსიკური მოქმედება.

გ) ტერატოგენული მოქმედება.

დ) ემბრიოტოქსიკური მოქმედება.

23) წამლის მოქმედება ემბრიონზე, რომელსაც თან სდევს თანდაყოლილი სიმახინჯეები აღინიშნება ტერმინით:

ა) მუტაგენური მოქმედება.

ბ) ტერატოგენული მოქმედება.

- გ) ემბრიოტოქსიკური მოქმედება.
- დ) ფეტოტოქსიკური მოქმედება.

24) წამლის ტერატოგენული მოქმედების ალბათობა ყველაზე დიდია:

ა) ორსულობის პირველი 3 თვის განმავლობაში.

- ბ) ორსულობის 4 და 6 თვეებს შორის.
- გ) ორსულობის 7-8 თვეებს შორის.
- დ) ორსულობის ბოლო თვეში

25) აღნიშნეთ მცდარი პასუხი:

ა) შარდის pH არ ახდენს ზეგავლენას სუსტი ელექტროლიტების გამოყოფის სიჩქარეზე.

- ბ) სუსტი ელექტროლიტების გამოყოფის სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს შარდის pH-ის ცვლილებისას.
- გ) სუსტი მჟავების გამოყოფის დასაჩქარებლად საჭიროა შარდის pH-ის გაზრდა (ტუტინანობისაკენ გადახრა).
- დ) სუსტი ფუძეების გამოყოფის დასაჩქარებლად საჭიროა შარდის pH-ის შემცირება (გადახრა მჟავიანობისაკენ).

26) საერთო კლირენსი მაჩვენებელია, რომელიც ასახავს:

- ა) წამლის შეწოვას მისი შეყვანის ადგილიდან.
- ბ) წამლის განაწილებას.

გ) ორგანიზმიდან წამლის ელიმინაციას.

- დ) წამლის დეკონირებას.

27) წამლის შიგნით მიღებისათვის არ არის დამახასიათებელი:

- ა) სუსტი ელექტროლიტების შეწოვის დამოკიდებულება გარემოს pH-ზე.
- ბ) შეწოვის დამოკიდებულება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის შიგთავსის ხასიათზე.
- გ) შეწოვის დამოკიდებულება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოტორიკის ინტენსივობაზე.
- დ) სისტემურ სისხლში მოქცევაში მოხვედრა ღვიძლის გვერდის ავლით.**

28) ლიპოფილურ საშუალებებთან შედარებით ჰიდროფილური საშუალებები:

- ა) კარგად შეიწოვება ენტერული გზით მიღებისას.
- ბ) უფრო თანაბრად ნაწილდება ორგანიზმის ქსოვილებში.
- გ) უპირატესად გამოიყოფა უცვლელი სახით.**
- დ) ადვილად განიცდიან რეაბსორბციას თირკმლის მილაკებში.

29) პოლარული საშუალებები:

- ა) კარგად შეიწოვება ენტერული გზით მიღებისას.
- ბ) კარგად აღწევენ ჰისტოჰემატურ ბარიერებში.
- გ) უპირატესად გამოიყოფა მეტაბოლიტების და კონიუგატების სახით.
- დ) კარგად გამოიყოფა თირკმლებით უცვლელი სახით.**

30) წამლის შიგნით მიღებისას მისი შეწოვის ხარისხი შეიძლება შეფასდეს შემდეგი მაჩვენებლით:

- ა) კლირენსი.
- ბ) ბიოშედწევადობა.**
- გ) იონიზაციის კონსტანტა.
- დ) “ნახევარსიცოცხლის” პერიოდი (ნახევარელიმინაციის პერიოდი).

31) უმრავლესი ნივთიერებების კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შეწოვის ძირითადი მექანიზმია:

- ა) ფილტრაცია.
- ბ) პინოციტოზი.
- გ) პასიური დიფუზია.**
- დ) აქტიური ტრანსპორტი.

32) უმრავლესი წამლების ბიოტრანსფორმაციის სინქარე მატულობს:

- ა) ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქციის დროს.
- ბ) ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინჰიბირებისას.
- გ) წამლების შეკავშირებისას სისხლის პლაზმის ცილებთან.
- დ) ღვიძლის დაავადებების დროს.

33) კონცენტრაციის გრადიენტის საწინააღმდეგოდ ნაწლავიდან წამლის შეწოვა შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას:

- ა) ფილტრაციით.
- ბ) პასიური დიფუზიით.
- გ) აქტიური ტრანსპორტით.
- დ) გაადვილებული დიფუზიით.

34) თირკმლის მილაკებში ცუდათ რეაბსორბირდება:

- ა) პოლარული ნაერთები.
- ბ) არაპოლარული ნაერთები.
- გ) არაპოლარული ლიპოფილური ნაერთები.
- დ) ლიპოფილური ნაერთები.

35) წამლების ბიოტრანსფორმაცია ჩვეულებრივ იწვევს მეტაბოლიტების და კონიუგატების წარმოქმნას, რომლებიც:

- ა) უარესად აბსორბირდება თირკმლის მილაკებში.
- ბ) უკეთესად აბსორბირდება თირკმლის მილაკებში.
- გ) უკეთესად აბსორბირდება ნაწლაგებიდან.
- დ) უფრო ნელა გამოიყოფა ორგანიზმიდან.

36) მეტაბოლური ტრანსფორმაციის პროცესებია:

- ა) გლუკურონის მჟავასთან ნაერთების წარმოქმნა.
- ბ) მეთილირება.
- გ) ალდგენა.
- დ) აცეტილირირება

37) კონიუგაციის პროცესებს მიეკუთვნება:

- ა) ჰიდროლიზი.
- ბ) აცეტილირება.
- გ) ალდგენა
- დ) ჟანგვითი დეალკილირება.

38) ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ზეგავლენით წამლების ცვლილების უპირატესი მიმართულება:

- ა) ლიპოფილობის გაზრდა.
- ბ) ჰიდროფილობის გაზრდა.
- გ) ფარმაკოლოგიური აქტივობის მომატება.
- დ) პოლარობის შემცირება.

39) სისხლის პლაზმის ცილებთან შეკავშირებული წამლები:

- ა) ავლენენ ფარმაკოლოგიურ ეფექტს.
- ბ) სწრაფად განიცდიან მეტაბოლიზმს.
- გ) სწრაფად გამოიყოფიან ორგანიზმიდან.
- დ) უფრო ხანგრძლივად მოქმედებენ.

40) ინჰალაციური შეყვანისას წამალი:

ა) ხდება სისტემურ სისხლმიმოქცევაში ღვიძლის ბარიერის გავლით.

ბ) ხდება სისტემურ სისხლმიმოქცევაში ღვიძლის ბარიერის გავლის გარეშე.

გ) შეიწოვება აქტიური ტრანსპორტის გზით.

დ) როგორც წესი, ნელა იწვევს ეფექტს.

41) ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

ა) პარციული აგონისტის მიერ გამოვლენილი ფარმაკოლოგიური ეფექტი მისი რეცეპტორებთან შეკავშირების რიცხვის პირდაპირპროპორციულია.

ბ) პარციული და სრული აგონისტები შესაძლებელია ერთნაირი აფინურობით ხასიათდებოდნენ ერთი და იგივე რეცეპტორების მიმართ.

გ) კომპლექსი სრული აგონისტი-რეცეპტორი ისეთივე აფინურობით ხასიათდება ტრანსდუქტორის მიმართ, როგორც კომპლექსი პარციული აგონისტი – რეცეპტორი.

დ) პარციული აგონისტები აძლიერებენ სრული აგონისტების აქტივობას.

42) ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

ა) წამლის შინაგანი აქტივობა ასახავს მის რეცეპტორთან შეერთების ხარისხს.

ბ) შინაგანი აქტივობა ასახავს კომპლექსის აგონისტი – რეცეპტორის აფინურობას ტრანსდუქტორის მიმართ.

გ) შინაგანი აქტივობა ასახავს წამლისა და რეცეპტორის კომპლემენტარობას (სივრცით შესაბამისობას).

დ) პარციულ აგონისტებს არანაირ პირობებში არ შესწევთ უნარი გამოავლინონ სრული აგონისტებისათვის დამახასიათებელი ეფექტი.

43) შეარჩიეთ სწორი პასუხი: მეორედ მესენჯერებს მიეკუთვნება:

ა) ცამფი, ცკმფ, Ca^{2+} , დაგ-ი, იტფვ

ბ) ცამფი,, აცეტილქოლინი, Ca^{2+} , დაგ-ი, ნორადრენალინი

გ) იტფვ, ადრენალინი, სეროტონინი, დაგ-ი, იტფვ

დ) დოფამინი, სეროტონინი, დაგ-ი, ცამფი-ი. ცკმფ-

44) თუ რეცეპტორის მიმართ წამლის აფინურობა ძალიან მაღალია და იგი დიდხანს იმყოფება რეცეპტორთან შეკავშირებულ მდგომარეობაში კოვალენტური კავშირით, იგი მოქმედებს როგორც:

ა) სრული აგონისტი;

ბ) პარციული აგონისტი;

გ) კონკურენტული ანტაგონისტი;

დ) შეუქცევადი ანტაგონისტი.

45) შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

ა) ნულოვანი რიგის ბიოტრანსფორმაციის (ან კინეტიკის) დროს დროის ყოველ ერთეულში მეტაბოლიზდება ნივთიერების მუდმივი რაოდენობა;

ბ) ნულოვანი რიგის ბიოტრანსფორმაციის დროს მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტები არ განიცდიან გაჯერებას;

გ) ნულოვანი რიგის ბიოტრანსფორმაციის დროს მეტაბოლიზმის სიჩქარე არ არის მუდმივი;

დ) უმრავლესი წამლები ექვემდებარებიან ნულოვანი რიგის მეტაბოლიზმს.

46) შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

ა) წამლის პირველი რიგის კინეტიკის დროს დროის ყოველ ერთეულში ელიმინირდება პლაზმაში მყოფი ნივთიერების მუდმივი ნაწილი;

ბ) წამლის პირველი რიგის ბიოტრანსფორმაციის დროს მეტაბოლიზმში მონაწილე ფერმენტები განიცდიან გაჯერებას წამლის თერაპიული დოზის გამოყენებისას;

გ) წამლების უმრავლესობა არ ექვემდებარება პირველი რიგის მეტაბოლიზმს;

დ) წამლების მეტაბოლიზმი ყველა შემთხვევაში აუცილებლად მიმდინარეობს ბიოტრანსფორმაციის I და II ფაზების მეშვეობით.

ქოლინერგულ სინაფსებზე მოქმედი საშუალებები

47) მუსკარინული ქოლინორეცეპტორების აგონისტები იწვევენ:

ა) თვალის გუჯის შევიწროებას (მიოზი);

- ბ) ეპზოკრინული ჯირკვლების აქტივობის დათრგუნვას;
- გ) გულზე დადებით ქრონოტროპულ (გულის რიტმი), დრომეტროპულ (გამტარებლობა) და ინოტროპულ (შეკუმშვის ძალა) ეფექტებს;
- დ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სფინქტერების სპაზმს.

48) აცეტილქოლინი იწვევს:

- ა) ცრემლის გამოყოფის შემცირებას;
- ბ) სალივაციის (ნერწყვის გამოყოფა) დათრგუნვას;
- გ) სასუნთქი გზების ტონუსის მომატებას;**
- დ) თვალის ცილიალური კუნთის მოღუნებას

49) აცეტილქოლინი იწვევს სისხლის არტერიული წნევის მომატებას ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებების წინაწარი შეყვანის ფონზე:

ა) ატროპინი;

- ბ) ბეტანექოლი;
- გ) პილოკარპინი;
- დ) ტრიმეტაფანი.

50) აცეტილქოლინი მედიატორია რომელიც გამოიყოფა:

ა) ყველა პოსტგანგლიური ნერვული ბოჭკოების დაბოლოებებზე (სიმპათიკურ და პარასიმპათიკურ);

- ბ) ყველა პოსტგანგლიური სიმპათიკური ნერვული ბოჭკოების დაბოლოებებზე;
- გ) მხოლოდ ზოგიერთი პოსტგანგლიური პარასიმპათიკური ნერვული ბოჭკოების დაბოლოებებზე;
- დ) ზოგიერთი ნეირონის დაბოლოებებზე ცნს-ის ნეირონების გარდა.

51) მნ-ქოლინორეცეპტორების აგონისტებია:

- ა) ედროფონიუმი;
- ბ) კარბაქოლინი;**
- გ) ბეტანექოლი;
- დ) მეტაქოლინი

52) აცეტილქოლინის ინტრავენური შეყვანა ხასიათდება ვაზოდილატაციით რომლის მიზეზია:

- ა) მ2-მუსკარინული რეცეპტორების სტიმულაცია;
- ბ) ნ1-ნიკოტინური რეცეპტორების სტიმულაცია;
- გ) სისხლძარღვთა ენდოთელიუმიდან აზოტის ოქსიდის (NO) გამოყოფა;**
- დ) მ1-მუსკარინული რეცეპტორების ბლოკადა.

53) აცეტილქოლინი იწვევს ეპზოკრინული სეკრეციის გაძლიერებას და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების გლუვი კუნთების ტონუსის გაზრდას, რომლის მიზეზია:

- ა) მ1-მუსკარინული რეცეპტორების ბლოკადა;
- ბ) მ2-მუსკარინული რეცეპტორების აქტივაცია;
- გ) მ3-მუსკარინული რეცეპტორების სტიმულაცია;**
- დ) ნიკოტინური რეცეპტორების აქტივაცია.

54) აცეტილქოლინით კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პერისტალტიკის გაზრდა ასოცირდება:

- ა) იტფ3(ინოზიტოლტრიფოსფატი)-ის დაგროვებასთან;**
- ბ) ცგმფ (ციკლური გუანოზინმონოფოსფატი) დაგროვებასთან;
- გ) ცამფ-ის (ციკლური ადენოზინმონოფოსფატის) დაგროვებასთან;
- დ) ფერმენტ ფოსფოლიპაზა “C”-ს დათრგუნვასთან.

55) აცეტილქოლინით გამოწვეული ბრადიკარდიის მიზეზია:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორების ბლოკადა;
- ბ) ფერმენტ ადენილაციკლასას აქტივობის დაქვეითება;**
- გ) Gi-ცილის აქტივობის დაქვეითება;
- დ) ცამფ-ის აქტივობის გაზრდა.

56) ქვემოთ ჩამოთვლილი ქოლინორეცეპტორების აგონისტებიდან რომელია მესამეული ამონიუმის ნაწარმი?

- ა) აცეტილქოლინი;
- ბ) ბეტანექოლი;
- გ) პილოკარპინი;**
- დ) მეტაქოლინი.

57) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელია ყველაზე ლიპოფილური ნივთიერება:

- ა) ნეოსტიგმინი;
- ბ) პილოკარპინი;**
- გ) კარბაქოლინი;
- დ) ბეტანექოლი.

58) ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიქოლინესთერაზული საშუალებებიდან რომელი გაივლის ყველაზე კარგად ჰემატოენცეფალურ ბარიერს?

- ა) ფიზოსტიგმინი;**
- ბ) ნეოსტიგმინი;
- გ) პირიდოსტიგმინი;
- დ) ედროფონიუმი.

59) რომელ ნ-ქოლინორეცეპტორებს აბლოკირებს სელექციურად ტრიმეტოფანი?

- ა) თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის;
- ბ) განგლიებში ლოკალიზებულ;**
- გ) ნერვ-კუნთოვანი სინაფსების;
- დ) კაროტიდული სინუსის

60) რომელ ნ-ქოლინორეცეპტორებს აბლოკირებს უპირატესად ტუბოკურარინი?

- ა) ნეიროჰიპოფიზში ლოკალიზებულ;
- ბ) ნერვ-კუნთოვან სინაფსში ლოკალიზებულ;**
- გ) თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის;
- დ) კაროტიდული სინუსის.

61) ატროპინის ფონზე შეყვანილი აცეტილქოლინი ქვემოთ დასახელებული რომელი ორგანოების ნ-ქოლინორეცეპტორების უპირატესი სტიმულაციით იწვევს არტერიული წნევის მომატებას?

- ა) კაროტიდული;
- ბ) განგლიური;
- გ) თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრე;**
- დ) ნერვ-კუნთოვანი სინაფსი.

62) ქვემოთ დასახელებული ანტიქოლინესთერაზული საშუალებებიდან, რომელს იყენებენ ძალიან იშვიათად მხოლოდ თვალის პრაქტიკაში გლაუკომის დროს:

- ა) ნეოსტიგმინი;
- ბ) ედროფონიუმი;
- გ) პირიდოსტიგმინი;
- დ) ფიზოსტიგმინი.**

63) რომელი ჯგუფის ფარმაკოლოგიურ საშუალებებს იყენებენ კუნთების მიიმე სისუსტის (Myasthenia gravis) დროს:

- ა) შექცევად ანტიქოლინესთერაზულს;
- ბ) შეუქცევად ანტიქოლინესთერაზულს;
- გ) მ-ქოლინოლიზურ;
- დ) მ-ქოლინომიმეტიურს.

64) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს იყენებენ ნეიროქირურგები ოპერაციის მსვლელობისას მართვადი ჰიპოტენზიის გამოსაწვევად:

- ა) ატრაკურრიუმი;
- ბ) ტრიმეტაფანი;
- გ) ატროპინი;
- დ) ბეტანექოლი

65) აცეტილქოლინის მოქმედება ჩონჩხის განივზოლიან კუნთებზე რეალიზდება:

- ა) G-ცილის აქტივაციის მექანიზმით;
- ბ) იონური არხების მექანიზმით;
- გ) თიროზინკინაზასთან დაკავშირებული რეცეპტორების მეშვეობით;
- დ) უჯრედის ბირთვში არსებული რეცეპტორების მეშვეობით.

66) ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელს ახასიათებს სისხლში სპონტანური დეგრადაცია:

- ა) ტუბოკურარინი;
- ბ) ატრაკურრიუმი;
- გ) პანკურონიუმი;
- დ) გალამინი

67) რომელი მეორადი მესენჯერის წარმოქმნის შემცირებით იწვევს აცეტილქოლინი ბრადიკარდიას?

- ა) ცგმფ;
- ბ) ცამფ;
- გ) დაგ-ი;
- დ) იტფ3.

68) ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიქოლინესთერაზული საშუალებებიდან რომელს ახასიათებს ყველაზე ხანმოკლე ეფექტი?

- ა) ნეოსტიგმინი;
- ბ) ედროფონიუმი;
- გ) დონეპეზილი;
- დ) ფიზოსტიგმინი.

69) ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი ეფექტებიდან რომელია დამახასიათებელი მ-მუსკარინული რეცეპტორების აგონისტებისათვის?

- ა) ტაქიკარდია;
- ბ) ნაწლავთა ატონია;
- გ) გულისრევა და პირღებინება;
- დ) თვალშიდა წნევის მომატება.

70) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს ახასიათებს სელექციურობა მხოლოდ მ-მუსკარინული რეცეპტორების მიმართ?

- ა) ბეტანექოლი;
- ბ) აცეტილქოლინი;
- გ) კარბაქოლინი;
- დ) ნეოსტიგმინი.

71) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი წარმოადგენს მ,ნ-ქოლინორეცეპტორების აგონისტს?

- ა) მეტაქოლინი;
- ბ) ბეტანექოლი;
- გ) კარბაქოლინი;**
- დ) ატროპინი.

72) როდის შეიძლება შექცევადი ტიპის ანტიქოლინესთერაზული საშუალებების გამოყენება?

- ა) კრუნჩხვები;
- ბ) ანტიდეპოლარიზაციული ტიპის მიორელაქსანტების ეფექტის მოსახსნელად;**
- გ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სპაზმის დროს;
- დ) გულისრევის და პირღებინების შესამცირებლად.

73) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელია ეფექტური ატროპინის ჭარბი დოზით გამოწვეული ცენტრალური ეფექტების დროს?

- ა) მეტაქოლინი;
- ბ) ნეოსტიგმინი;
- გ) ფიზოსტიგმინი;**
- დ) ედროფონიუმი.

74) ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან როდის არის ფიზოსტიგმინი ყველაზე ეფექტური?

- ა) კუნთების მძიმე სისუსტის (**Myasthenia gravis**) დროს;
- ბ) ნაწლავთა პოსტოპერაციული ატონიის დროს;
- გ) ანტიდეპოლარიზაციული მიორელაქსანტების ეფექტის მოსახსნელად;
- დ) გლავუკომის დროს.**

75) ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიქოლინესთერაზული საშუალებებიდან რომელია განსაკუთრებით ეფექტური ალცჰაიმერის დაავადების დროს?

- ა) დონეპეზილი;**
- ბ) ნეოსტიგმინი;
- გ) პირიდოსტიგმინი;
- დ) ფიზოსტიგმინი.

76) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელია შეუქცევადი ტიპის ანტიქოლინესთერაზული საშუალება?

- ა) დონეპეზილი;
- ბ) ექოთიაპატი;**
- გ) ნეოსტიგმინი;
- დ) ფიზოსტიგმინი.

77) რომელი საშუალებაა განსაკუთრებით ნაჩვენები შეუქცევადი ტიპის ანტიქოლინესთერაზული ნივთიერებებით მოწამვლიდან პირველი 24-36სთ-ის განმავლობაში:

- ა) სკოპოლამინი;
- ბ) პრალიდოქსიმი;**
- გ) ატროპინი;
- დ) ბეტანექოლი.

78) პრალიდოქსიმის მოქმედების მექანიზმია:

- ა) აბლოკირებს მ-მუსკარინულ ქოლინორეცეპტორებს;
- ბ) ხელს უწყობს ქოლინესთერაზას რეაქტივაციას;**
- გ) ხელს უწყობს ნ-ნიკოტინური რეცეპტორების ბლოკადას;
- დ) ხელს უშლის ქოლინესთერაზას დაშლას.

79) რა გართულება შეიძლება განვითარდეს მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტების ჭარბი დოზის გამოყენებისას?

ა) ატრიოვენტრიკულური ბლოკადა;

- ბ) ჰიპერტონული კრიზი;
- გ) თვალშიდა წნევის მომატება;
- დ) აკომოდაციის დამბლა.

80) ქვემოთ ჩამოთვლილი მ-მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტებიდან რომელი მიეკუთვნება მეოთხეულ ამინებს?

ა) იპრატროპიუმი;

- ბ) ბენზტროპინი;
- გ) დიციკლომინი;
- დ) სკოპოლამინი.

81) ქვემოთ მითითებული მ-მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტებიდან რომელი გამოიყენება უპირატესად კუჭ-ნაწლავისა და საშარდე გზების სპაზმის დროს?

ა) დიციკლომინი;

- ბ) იპრატროპიუმი;
- გ) ბენზტროპინი;
- დ) ტროპიკამიდი.

82) მიუთითეთ მ-მუსკარინული ანტაგონისტების გვერდითი ეფექტი:

ა) აკომოდაციის დამბლა;

- ბ) ჰიპერჰიდროზი (ოფლის გამოყოფის გაძლიერება)
- გ) კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გაძლიერება;
- დ) ბრადიკარდია.

83) ატროპინის მოქმედების მექანიზმია:

ა) წარმოადგენს მ-ქოლინორეცეპტორების არაკონკურენტულ ანტაგონისტს;

ბ) წარმოადგენს მ-მუსკარინული რეცეპტორების კონკურენტულ ანტაგონისტს;

- გ) გააჩნია მხოლოდ პერიფერიული ეფექტები;
- დ) თვალზე მოქმედების შედეგად იწვევს ცილიალური (წამწამოვანი) კუნთის შეკუმშვას.

84) მ-მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტით ატროპინით გამოწვეული მოწამელის ეფექტებია:

ა) გამოხატული სედაცია;

ბ) ატაქსია, დეზორიენტაცია და ჰალუცინაციები;

- გ) წყლის მიმართ შიში;
- დ) ბრადიკარდია და ატრიოვენტრიკულური ბლოკადა.

85) რომელი ორგანოების მ-მუსკარინული რეცეპტორებია ყველაზე უფრო მგრძობიარე ატროპინის მცირე დოზების მიმართ?

ა) თვალის;

ბ) გულის;

გ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის;

დ) სანერწყვე ბრონქული და საოფლე ჯირკვლების.

86) რომელი ორგანოების მ-მუსკარინული რეცეპტორებია ყველაზე ნაკლებად მგრძობიარე ატროპინის მცირე დოზების მიმართ?

ა) სანერწყვე ჯირკვლები;

ბ) საოფლე ჯირკვლები;

გ) ბრონქული ჯირკვლები;

დ) კუჭის წვენის გამომყოფი სეკრეტორული უჯრედები.

87) ატროპინის შეყვანისას თერაპიულ დოზებში მისი ეფექტებია:

ა) ტაქიკარდია;

ბ) გულის წუთმოცულობის შემცირება;

გ) სისხლის არტერიული წნევის დაქვეითება;

დ) ოფლის გამოყოფის გაძლიერება.

88) რამდენ ხანს გრძელდება ატროპინის ეფექტი თვალზე?

ა) 12სთ;

ბ) 24სთ;

გ) 36სთ;

დ) 72 სთ მეტ ხანს.

89) ატროპინით გამოწვეული გვერდითი ეფექტებია:

ა) დიარეა;

ბ) სხეულის ტემპერატურის დაქვეითება;

გ) შარდის შეკავება;

დ) არტერიული წნევის დაქვეითება.

90) ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი წარმოადგენს ატროპინის გამოყენების უკუჩვენებას?

ა) კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული;

ბ) წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) ჰიპერპლაზია;

გ) ბრონქული ასთმა;

დ) ჰიპერჰიდროზი (ოფლის გამოყოფის გაძლიერება).

91) ქვემოთ დასახელებული მ-მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტებიდან რომელი გამოიყენება ძირითადად ოფთალმოლოგიაში?

ა) ტროპიკამიდი;

ბ) ბენზტროპინი;

გ) დიციკლომინი;

დ) იპრატროპიუმი.

92) მ-ქოლინობლოკატორებია:

ა) სკოპოლამინი.

ბ) ნეოსტიგმინი

გ) კარბაქოლინი

დ) ფიზოსტიგმინი;

93) მ1-ქოლინორეცეპტორებს შედარებით შერჩევითად აბლოკირებენ:

ა) პირენზეპინი.

ბ) ატროპინი.

გ) სკოპოლამინი.

დ) იპრატროპიუმი.

94) განგლიომაბლოკირებელი საშუალებებია:

ა) სუქსამეთონიუმი;

ბ) ატროპინი.

გ) ტრიმეტაფანი;

დ) სკოპოლამინი.

95) ხანმოკლე მოქმედების (5-10 წთ-მდე ხანგრძლივობით) მიორელაქსაციური საშუალება:

- ა) ტრიმეტაფანი.
- ბ) ტუბოკურარინი.
- გ) სუქსამეთონიუმი.**
- დ) პანკურონიუმი.

96) ანტიდეპოლარიზაციული მოქმედების (არამადეპოლარიზებელი) კურარესმაგვარი საშუალება;

- ა) სუქსამეთონიუმი;
- ბ) ნეოსტიგმინი;
- გ) ფიზოსტიგმინი
- დ) პანკურონიუმი.**

97) დეპოლარიზაციული მოქმედების მიორელაქსაციური საშუალებებია:

- ა) სუქსამეთონიუმი;**
- ბ) ტრიმეტაფანი.
- გ) ტუბოკურარინი.
- დ) პანკურონიუმი.

98) მ-ქოლინობლოკატორები:

- ა) კუმშავენ თვალის ფერადი გარსის ირგვლივ კუნთს.
- ბ) აღუნებენ თვალის ფერადი გარსის ირგვლივ კუნთს.**
- გ) არ მოქმედებენ თვალის ირგვლივი კუნთის ტონუსზე.
- დ) კუმშავენ ფერადი გარსის რადიალურ კუნთს.

99) მ-ქოლინობლოკატორები:

- ა) კუმშავენ თვალის ცილიალურ კუნთს (იწვევენ აკომოდაციის სპაზმს).
- ბ) აღუნებენ ცილიალურ კუნთს (იწვევენ აკომოდაციის დამბლას).**
- გ) არ მოქმედებენ ცილიალური კუნთის ტონუსზე.
- დ) ამცირებენ თვალშიდა წნევას

100) ეკზოკრინული ჯირკვლების სეკრეციას ამცირებენ:

- ა) ბეტანექოლი
- ბ) სუქსამეთონიუმი;
- გ) ტუბოკურარინი
- დ) ატროპინი.**

101) ატრიოვენტრიკულურ გამტარებლობას აადვილებენ:

- ა) ატროპინი.**
- ბ) ტუბოკურარინი.
- გ) ბეტანექოლი;
- დ) მეტაქოლინი;

102) ჩონჩხის კუნთებს აღუნებენ:

- ა) ატროპინი.
- ბ) სკოპოლამინი.
- გ) ტუბოკურარინი.**
- დ) ტრიმეტაფანი

103) ატროპინი აბლოკირებს:

- ა) ალფა1-ადრენორეცეპტორებს.
- ბ) მ1, მ2 და მ3-ქოლინორეცეპტორებს.**
- გ) ნეირონული (განგლიური) ტიპის ნ-ქოლინორეცეპტორებს.
- დ) კუნთოვანი ტიპის ნ-ქოლინორეცეპტორებს.

104) პირენზეპინი უპირატესად აბლოკირებს:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორებს.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორებს.
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორებს.
- დ) ნეირონული (განგლიური) ტიპის ნ-ქოლინორეცეპტორებს

105) პირენზეპინი შერჩევითად თრგუნავს კუჭის ჯირკვლების სეკრეციას, ვინაიდან აბლოკირებს მ1-ქოლინორეცეპტორებს:

- ა) პანკრეასში.
- ბ) კუჭის უჯრედების, რომლებიც გამოყოფენ პეფსინოგენს.
- გ) კუჭის პარიეტული უჯრედების, რომლებიც გამოყოფენ მარილმჟავას.
- დ) ანთრალური უჯრედების, რომლებიც გამოყოფენ გასტრინს.

106) ატროპინისგან განსხვავებით იპრატროპიუმი გამოიყენება მხოლოდ:

- ა) დაავადებების დროს, რომელთაც თან ახლავს კუჭის ჯირკვლების ჰიპერსეკრეცია.
- ბ) ბრონქოსპაზმით მიმდინარე დაავადებების დროს.
- გ) მუცლის ღრუს ორგანოების გლუვი კუნთების სპასტიკური შეკუმშვის დროს.
- დ) ნაწლავების და სანადვლე გზების სპაზმი

107) ატროპინისგან განსხვავებით პირენზეპინს უპირატესად იყენებენ:

- ა) დაავადებების დროს, რომელთაც თან ახლავს კუჭის ჯირკვლების ჰიპერსეკრეცია.
- ბ) ბრონქოსპაზმით მიმდინარე დაავადებების დროს.
- გ) მუცლის ღრუს ორგანოების სპასტიკური შეკუმშვის დროს.
- დ) ნაწლავების და სანადვლე გზების სპაზმი

108) ხანმოკლე კლინიკური მანიპულაციებისას, როდესაც საჭიროა ჩონჩხის კუნთების მოღუნება (ინტუბაცია, ძვლის მოტეხილი ფრაგმენტების რეპოზიცია და სხვა) მიორელაქსანტის სახით ყველაზე მოსახერხებელია:

- ა) როკურონიუმი.
- ბ) სუქსამეთონიუმი.
- გ) პანკურონიუმი.
- დ) ვეკურონიუმი

109) მ-ქოლინობლოკატორები წინააღმდეგნაჩვენებია:

- ა) ირიდოციკლიტი
- ბ) დიარეა
- გ) ნაწლავის ატონია.
- დ) ბრადიკარდია.

110) ატროპინით მოწამვლისთვის დამახასიათებელია:

- ა) ფსიქიური აგზნება.
- ბ) სედაციური ეფექტი.
- გ) მიოზი
- დ) ჰიპერსალივაცია

111) რომელ პრეპარატებს შეუძლიათ გამოიწვიონ შარდვის გაძნელება?

- ა) ვეკურონიუმი.
- ბ) ბეტანექლოლი.
- გ) სკოპოლამინი.
- დ) სუქსამეთონიუმი;

112) რა არის დამახასიათებელი სუქსამეთონიუმისთვის:

ა) დეპოლარიზაციული მოქმედების მიორელაქსანტია.

ბ) ანტიდეპოლარიზაციული მოქმედების მიორელაქსანტია.

გ) მოქმედებს ხანგრძლივად (დაახლოებით 60 წთ).

დ) პრეპარატის ეფექტი მცირდება ან მოკლდება ანტიქოლინესთერაზული საშუალებებით.

113)რა არის დამახასიათებელი ტუბოკურარინისთვის?

ა) დეპოლარიზაციული მოქმედების მიორელაქსანტია.

ბ) ანტიდეპოლარიზაციული მოქმედების მიორელაქსანტია.

გ) მოქმედებს ხანმოკლედ (5-10 წთ).

დ) პრეპარატის ეფექტი ძლიერდება და ხანგრძლივდება ანტიქოლინესთერაზული საშუალებებით.

114)ანტიქოლინესთერაზული საშუალებებით მოწამვლის რომელ სიმპტომს ვერ ხსნის ატროპინი:

ა) გუგის შევიწროვების.

ბ) ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერების.

გ) ბრადიკარდიას და არტერიული წნევის დაქვეითების.

დ) ჩონჩხის კუნთების ტონუსის მომატების.

115)ანტიქოლინესთერაზული საშუალებებია:

ა) ნოსტიგმინი;

ბ) კარბაქოლინი.

გ) პილოკარპინი.

დ) აცეტილქოლინი.

116)შეუქცევადი მოქმედების ანტიქოლინესთერაზული საშუალებებია:

ა) ნოსტიგმინი;

ბ) პირიდოსტიგმინი;

გ) ექოთიოპათი;

დ) ფიზოსტიგმინი

117)მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტების თვალზე მოქმედებისას დამახასიათებელია:

ა) მიოზი.

ბ) მიდრიაზი.

გ) აკომოდაციის დამბლა.

დ) თვალშიდა წნევის მომატება.

118)მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტების ეფექტები გულსისხლძარღვთა სისტემაზე:

ა) გულისცემის სისწირის შემცირება.

ბ) გულისცემის სისწირის გაზრდა.

გ) ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის გაადვილება.

დ) სისხლძარღვების შევიწროება და არტერიული წნევის მომატება.

119)მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტები იწვევენ:

ა) ეკზოკრინული ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერებას.

ბ) ეკზოკრინული ჯირკვლების სეკრეციის შესუსტებას.

გ) შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების მოდუნება.

დ) ნერვ-კუნთოვანი გადაცემის დათრგუნვა.

120) როგორ მოქმედებს პილოკარპინი თვალზე?

ა) აფართოებს გუგას.

ბ) იწვევს აკომოდაციის სპაზმს.

გ) იწვევს აკომოდაციის დამბლას.

დ) ზრდის თვალშიდა წნევას.

121) ანტიქოლინესთერაზული საშუალებები:

- ა) ასუსტებენ ეკზოკრინული ჯირკვლების სეკრეციას.
- ბ) ზრდიან შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების ტონუსს.**
- გ) ამცირებენ შინაგანი ორგანოების გლუვი კუნთების ტონუსს.
- დ) აფერხებენ ნერვ-კუნთოვან გადაცემას.

122) ნეოსტიგმინი იწვევს:

- ა) მიდრიაზი.
- ბ) ბრადიკარდია.**
- გ) ტაქიკარდია.
- დ) არტერიული წნევის გაზრდა.

159) მ-ქოლინორეცეპტორები:

- ა) მემბრანული რეცეპტორები.**
- ბ) ციტოპლაზმური რეცეპტორები.
- გ) უშუალოდ დაკავშირებულნი არიან უჯრედული მემბრანის იონურ არხებთან.
- დ) უშუალოდ დაკავშირებულნი არიან უჯრედული მემბრანის ფერმენტებთან.

123) გულის კუნთში მ-ქოლინორეცეპტორების უპირატესი ქვეტიპია:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორები.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორები.**
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორები.
- დ) მ4-ქოლინორეცეპტორები.

124) ეკზოკრინული ჯირკვლების მ-ქოლინორეცეპტორების უპირატესი ქვეტიპია:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორები.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორები.
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორები.**
- დ) მ4-ქოლინორეცეპტორები.

125) გლუვი კუნთოვან ორგანოებში მ-ქოლინორეცეპტორების უპირატესი ქვეტიპია:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორები.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორები.
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორები.**
- დ) მ4-ქოლინორეცეპტორები.

126) სისხლძარღვთა უჯრედების ენდოთელურ უჯრედებში მ-ქოლინორეცეპტორების უპირატესი ქვეტიპია:

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორები.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორები.
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორები.**
- დ) მ4-ქოლინორეცეპტორები.

127) თირკმელზედა ჯირკვლიდან ადრენალინის გამოყოფას ასტიმულირებენ:

- ა) მ-ქოლინომიმეტიური საშუალებები.
- ბ) მ-ქოლინომაბლოკირებელი საშუალებები.
- გ) ნ-ქოლინომიმეტიური.**
- დ) ადრენორეცეპტორების აგონისტები

128) მ-ქოლინომიმეტიურების რომელ ეფექტებს გააჩნიათ ფარმაკოთერაპიული ღირებულება?

- ა) აკომოდაციის სპაზმი.
- ბ) ნაწლავის და შარდის ბუშტის ტონუსის მომატება.**
- გ) ეკზოკრინული ჯირკვლების სეკრეციის გაძლიერება.

დ) არტერიული წნევის დაქვეითება.

129) ბეტანექოლის გამოყენების ჩვენება:

- ა) ჰიპოაციდური გასტრიტი.
- ბ) არტერიული ჰიპერტენზია.
- გ) ნაწლავის და შარდის ბუშტის ატონია.
- დ) არტერიული ჰიპოტენზია.

130) პილოკარპინის გამოყენების ჩვენება:

- ა) ნაწლავის ატონია.
- ბ) ბრონქული ასთმა.
- გ) გლავკომა.
- დ) თვალის ფსკერის გამოკვლევა.

131) ნეოსტიგმინს იყენებენ:

- ა) შარდის ბუშტის ატონიისას.
- ბ) ბრონქული ასთმის მწვავე შეტევის დროს.
- გ) თვალის ფსკერის გამოკვლევისთვის.
- დ) ნაწლავის სპაზმი.

132) მიასთენიის დროს იყენებენ:

- ა) პილოკარპინი.
- ბ) ნეოსტიგმინს;
- გ) ბეტანექოლი;
- დ) მეტაქოლინი

133) მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტები:

- ა) აძნელებენ თვალშიდა სითხის გადინებას და ზრდიან თვალშიდა წნევას.
- ბ) ასტიმულირებენ სუნთქვას.
- გ) იყენებენ გლავკომის, ნაწლავისა და შარდის ბუშტის ატონიის დროს.
- დ) იყენებენ სუნთქვის რეფლექსური სტიმულაციისთვის.

134) ქვემოთჩამოთვლილი წამლებიდან რომელი წააგავს ყველაზე მეტად თავისი მოქმედებით ატროპინს?

- ა) სკოპოლამინი.
- ბ) ტრიმეტაფანი.
- გ) ფიზოსტიგმინი.
- დ) აცეტილქოლინი.

135) ქვემოთჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი არ იწვევს მიოზს?

- ა) კარბაქოლინი.
- ბ) იზოფლუროპათი.
- გ) ატროპინი.
- დ) პილოკარპინი.

136) ქვემოთჩამოთვლილი წამლებიდან რომელს გააჩნია უპირატესობა “myasthenia gravis” ხანგრძლივი მკურნალობისთვის?

- ა) ედროფონიუმი
- ბ) ატროპინი
- გ) ნეოსტიგმინი
- დ) სკოპოლამინი

137) ქვემოთჩამოთვლილი რომელი ნივთიერებები არ მოქმედებენ მეორადი მესენჯერების სახით?

- ა) ცამფ-ი.
- ბ) ინოზიტოლ 1, 4, 5-ტრიფოსფატი (იტფ3).
- გ) დიაცილგლიცეროლი (დაგ-ი).
- დ) გუნოზინტრიფოსფატი (გტფ).**

138) რომელი რეცეპტორის აქტივაციით არის განპირობებული პილოკარპინით გამოწვეული მიოზი?

- ა) მ1-ქოლინორეცეპტორი.
- ბ) მ2-ქოლინორეცეპტორი.
- გ) მ3-ქოლინორეცეპტორი.**
- დ) ბეტა1-ადრენორეცეპტორი.

139) ადრენორეცეპტორების ქვემოთ დასახელებული აგონისტებიდან რომელი აქვეითებს ყველაზე ძლიერად დიასტოლურ წნევას?

- ა) ადრენალინი;
- ბ) ფენილეფრინი;
- გ) იზოპროტერენოლი.**
- დ) ნორადრენალინი

140) ადრენორეცეპტორების ქვემოთ დასახელებული აგონისტებიდან რომელი იწვევს დიასტოლური წნევის ყველაზე ძლიერ მომატებას?

- ა) სალბუტამოლი;
- ბ) ნორადრენალინი.**
- გ) დობუტამინი;
- დ) იზოპროტერენოლი.

141) ადრენორეცეპტორების ქვემოთ დასახელებული აგონისტებიდან რომელი მოქმედებს ყველაზე გამოსატულად ბეტა2-ადრენორეცეპტორებზე?

- ა) ნორადრენალინი;
- ბ) ადრენალინი.**
- გ) ფენილეფრინი;
- დ) დობუტამინი.

142) ადრენორეცეპტორების ქვემოთ დასახელებული აგონისტებიდან რომელი მოქმედებს ბეტა1, ბეტა2-ადრენორეცეპტორებზე?

- ა) კლონიდინი;
- ბ) ნორადრენალინი;
- გ) იზოპროტერენოლი.**
- დ) სალბუტამოლი;

143) რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალების წინასწარი შეყვანის ფონზე აქვს ადგილი ადრენალინის პარადოქსულ (გაუკუღმართებულ) ეფექტს სისხლის არტერიულ წნევაზე (წნევის მომატების ნაცვლად ჰიპოტენზიური ეფექტი)?

- ა) პროპრანოლოლი;
- ბ) ტერბუტალინი;
- გ) პრაზოზინი.**
- დ) დობუტამინი;

144) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელია ბეტა2-ადრენორეცეპტორების სელექციური აგონისტი?

- ა) მეტოქსამინი;
- ბ) ეფედრინი;

- გ) იზოპროტერენოლი;
- დ) სალბუტამოლი.

145) ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელი აძლიერებს პრესინაფსური მოქმედებით ნორადრენალინის გამოყოფას?

- ა) ამფეტამინი;
- ბ) ადრენალინი;
- გ) ნორადრენალინი;
- დ) მეტოქსამინი;

146) რა მექანიზმით რეალიზდება ადრენალინის ბრონქოდილატაციური ეფექტი?

- ა) იტფ-ის დაგროვებით;
- ბ) დაგ-ის დაგროვებით;
- გ) ცამფ-ის დაგროვების შემცირებით;
- დ) მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების კინაზური მექანიზმით.

147) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მოქმედებს ყველაზე ძლიერად ცნს-ზე?

- ა) ადრენალინი;
- ბ) ნორადრენალინი;
- გ) ფენილეფრინი;
- დ) ეფედრინი.

148) რომელ საშუალებას იყენებენ ბრონქოსპაზმის დროს?

- ა) ფენილეფრინი;
- ბ) მეტოქსამინი;
- გ) დობუტამინი;
- დ) ეფედრინი.

149) რომელი ქვემოთ დასახელებული საშუალებები გამოიყენება რინიტების სამკურნალოდ?

- ა) ნორადრენალინი;
- ბ) დობუტამინი;
- გ) ფენილეფრინი;
- დ) სალბუტამოლი.

150) რომელი საშუალებების გამოყენებაა შესაძლებელი სუპრავენტრიკულური (პარკუჭ ზედა) ტაქიკარდიის დროს?

- ა) ფენილეფრინი;
- ბ) დობუტამინი;
- გ) ადრენალინი;
- დ) ნორადრენალინი.

151) ქვემოთ დასახელებული სიმპათომიმეტიკური საშუალებებიდან რომელი იწვევს არტერიული წნევის მომატებისას რეფლექსური ბრადიკარდიის განვითარებას?

- ა) ფენილეფრინი;
- ბ) დობუტამინი;
- გ) იზოპროტერენოლი;
- დ) დოფამინი

152) ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელი იწვევს შეჩვევას და წამლის მიმართ გამოსატულ დამოკიდებულებას, რის გამოც საერთაშორისო კონვენციით სპეცკონტროლს ექვემდებარება?

- ა) ადრენალინი;
- ბ) ნორადრენალინი;

გ) ამფეტამინი;

დ) დობუტამინი.

153) რომელ საშუალებებს ახასიათებს დეკონგესტური (შეგუბების საწინააღმდეგო) და შეშუპების საწინააღმდეგო მოქმედება ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სისხლძარღვების მიმართ?

ა) ბეტა1-ადრენორეცეპტორების აგონისტები;

ბ) ალფა-2-ადრენორეცეპტორების აგონისტები;

გ) ბეტა2-ადრენორეცეპტორების აგონისტები;

დ) ალფა-2-ადრენორეცეპტორების ანტაგონისტები;

154) ადიპოციტებში რომელი ადრენორეცეპტორების სტიმულაცია იწვევს ლიპოლიზის ინჰიბირებას?

ა) ალფა-2-რეცეპტორების;

ბ) ბეტა1-რეცეპტორების;

გ) ალფა1-რეცეპტორების;

დ) ბეტა3-რეცეპტორების.

155) რა მექანიზმი უდევს საფუძვლად ალფა2-ადრენორეცეპტორების აქტივაციით გამოწვეულ ლიპოლიზის ინჰიბირებას?

ა) უჯრედშიდა იტფ3-ის შემცირება;

ბ) უჯრედშიდა ცამფ-ის შემცირება;

გ) უჯრედშიდა დაგ-ის შემცირება;

დ) უჯრედშიდა ცამფ-ის შემცირება.

156) რომელ რეცეპტორებს ააქტივებს ფენილეფრინი?

ა) ალფა-1-ადრენორეცეპტორებს;

ბ) ბეტა1- ადრენორეცეპტორებს;

გ) ბეტა2-ადრენორეცეპტორებს;

დ) ბეტა3-ადრენორეცეპტორებს.

157) სად გამოიყენება ქსილომეტაზოლინი და ოქსიმეტაზოლინი სამედიცინო პრაქტიკაში?

ა) რინიტების სამკურნალოდ;

ბ) ბრონქოდილატაციის მიზნით;

გ) ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებებთან კომბინირების მიზნით;

დ) ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაში.

158) რომელი რეცეპტორების აგონისტებს იყენებენ გადაუდებელი მდგომარეობების დროს არსებული ჰიპოტენზიის დროს?

ა) ალფა1-რეცეპტორების;

ბ) ბეტა1-რეცეპტორების;

გ) ბეტა2-რეცეპტორების;

დ) ალფა2-რეცეპტორების.

159) ადრენორეცეპტორების ქვემოთ დასახელებული აგონისტებიდან რომლის გამოყენება არ შეიძლება მიოკარდიუმის ინფარქტით გამოწვეული კარდიოგენული შოკის დროს?

ა) დობუტამინი;

ბ) დოფამინი;

გ) პრედნიზოლონი;

დ) ადრენალინი.

160) ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელს იყენებენ ცხვირის წვეთების სახით რინიტის დროს?

- ა) ადრენალინი;
- ბ) ნორადრენალინი;
- გ) ოქსიმეტაზოლინი;**
- დ) დოფამინი.

161) ემოციური სტრესული სიტუაციის დროს რით არის განპირობებული არტერიული წნევის მომატება?

- ა) ადრენალინის გამყოფით და ალფა1-ადრენორეცეპტორების სტიმულაციით;**
- ბ) β2-ადრენორეცეპტორების გააქტივებით;
- გ) ცენტრალური ალფა2-ადრენორეცეპტორების სტიმულაციით;
- დ) β3-ადრენორეცეპტორების გააქტივებით.

162) რომელი სიმპტომი არ ვითარდება ემოციური სტრესის დროს?

- ა) ტაქიკარდია;
- ბ) ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის გაზრდა;
- გ) მიდრიაზი;
- დ) ნაწლავის ტონუსის გაზრდა.**

163) რომელ საშუალებას იყენებენ თირკმლის სისხლმიმოქცევის გასაუმჯობესებლად შოკური მდგომარეობის დროს?

- ა) ადრენალინი;
- ბ) ფენილეფრინი;
- გ) დოფამინი;**
- დ) ნორადრენალინი.

164) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი იწვევს არტერიული წნევის მომატებას და რეფლექსურ ბრადიკარდიას?

- ა) ტერბუტალინი;
- ბ) დობუტამინი;
- გ) მეტოქსამინი;**
- დ) იზოპროტერენოლი.

165) რომელი ალფა1-ადრენობლოკატორი არ მიეკუთვნება სელექციურ საშუალებას?

- ა) ფენოქსიბენზამინი;**
- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) პრაზოზინი;
- დ) ტერაზოზინი.

166) ფენოქსიბენზამინის არასასურველი ეფექტია:

- ა) კანის სისხლძარღვების სპაზმი;
- ბ) ტაქიკარდია;**
- გ) ქვედა კიდურების იშემია;
- დ) ბრონქოკონსტრიქცია;

167) რა შემთხვევაში გამოიყენება ძირითადათ ალფა-1-ბლოკატორი-ტამსულოზინი?

- ა) წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის დროს;**
- ბ) ტაქიკარდიის დროს;
- გ) ფეოქრომოციტომის დროს;
- დ) თვალის გუგის გასაფართოებლად.

168) რომელი ალფა-ადრენობლოკატორი იწვევს გამოხატულ ტაქიკარდიას?

- ა) ფენტოლამინი;**

- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) ტერაზოზინი;
- დ) პრაზოზინი.

169) ქვემოთ დასახელებული ალფა-ადრენობლოკატორებიდან რომელი მოქმედებს ალფა-1 და ალფა-2 რეცეპტორებზე?

- ა) პრაზოზინი;
- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) ფენტოლამინი;**
- დ) ტერაზოზინი.

170) ფოქრომოციტომის დროს (თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნე) რომელი ალფა-ადრენობლოკატორის პრევენციული შეყვანა იწვევს სისხლის არტერიული წნევის ოპტიმალურ მართვას?

- ა) ტერაზოზინი;
- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) პრაზოზინი;
- დ) ფენტოქსიბენზამინი;**

171) ქვემოთ დასახელებული ალფა-1-ადრენობლოკატორებიდან რომელს იყენებენ ფოქრომოციტომის სამკურნალოდ?

- ა) ტერაზოზინი;
- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) ფენტოლამინი;**
- დ) პრაზოზინი.

172) ქვემოთ დასახელებული ალფა-1-ადრენობლოკატორებიდან რომელს იყენებენ ფოქრომოციტომის ოპერაციის წინ არტერიული წნევის მომატების საპრევენციოდ?

- ა) ფენტოქსიბენზამინი;**
- ბ) პრაზოზინი;
- გ) ტერაზოზინი;
- დ) დოქსაზოზინი.

173) რომელია ალფა-1-ადრენობლოკატორების ძირითადი გვერდითი ეფექტი?

- ა) ბრადიკარდია;
- ბ) ორთოსტატული ჰიპოტენზია;**
- გ) თვალის გუგის გაფართოება;
- დ) პირის სიმშრალე.

174) სელექციური ალფა-ადრენობლოკატორების ფონზე ადრენალინი იწვევს:

- ა) ჰიპერტენზიას;
- ბ) ჰიპოტენზიას;**
- გ) არ ცვლის არტერიულ წნევას;
- დ) ბრადიკარდიას.

175) ქვემოთ ჩამოთვლილი ალფა-ადრენობლოკატორებიდან რომელი იწვევს უფრო გამოსატულ რეფლექსურ ტაქიკარდიას?

- ა) ტერაზოზინი;
- ბ) დოქსაზოზინი;
- გ) პრაზოზინი;
- დ) ფენტოლამინი.**

176) კლონიდინით ცენტრალური ალფა-2-ადრენორეცეპტორების აქტივაცია იწვევს გულში:

ა) კალიუმის არხების გახსნას;

- ბ) კალციუმის არხების გახსნას;
- გ) კალიუმის არხების დახურვას;
- დ) ნატრიუმის არხების გახსნას.

177) ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი ეფექტებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ბეტა-ადრენობლოკატორებისათვის?

- ა) გულის უკმარისობა;
- ბ) ცივი ქვემო კიდურები;
- გ) დეპრესია;
- დ) ჰიპერგლიკემია;

178) აღნიშნეთ არასელექციური ბეტა-ადრენობლოკატორებით გამოწვეული გვერდითი ეფექტები:

- ა) ჰიპერგლიკემია;
- ბ) ბრონქოსპაზმი;
- გ) ტაქიკარდია;
- დ) თვალში და წნევის მომატება.

179) აღნიშნეთ არასელექციური ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენების წინააღმდეგჩვენება:

- ა) ხანგამოშვებითი კოჭლოზა;
- ბ) გულის უკმარისობის მეორე სტადია NYHA- ს მიხედვით;
- გ) გლაუკომა;
- დ) გულის ექსტრასისტოლური არითმია.

180) ქვემოთ დასახელებული ბეტა-ადრენობლოკატორებიდან რომლის გამოყენებაა განსაკუთრებით სახიფათო ბრონქული ასთმის დროს?

- ა) ატენოლოლი;
- ბ) აცებუტოლოლი;
- გ) მეტოპროლოლი;
- დ) პროპრანოლოლი.

181) რატომ არის სახიფათო ბრონქული ასთმის დროს არასელექციური ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენება?

- ა) ბეტა1-რეცეპტორების ბლოკადის გამო;
- ბ) ბეტა2-რეცეპტორების ბლოკადის გამო;
- გ) ბეტა3- რეცეპტორების ბლოკადის გამო;
- დ) ბეტა1 რეცეპტორების ნაწილობრივი სტიმულაციის გამო.

182) 38) რით არის გამოწვეული ბეტა-ადრენობლოკატორების მიღების უეცარი შეწყვეტისას გამოწვეული გვერდითი ეფექტები ან გართულებები?

- ა) რეცეპტორების დესენსიტიზაციით;
- ბ) რეცეპტორების “აპ-რეგულაციით”;
- გ) ტაქიფილაქსიით;
- დ) იდიოსინკრაზიით.

183) რით არის განპირობებული ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენების წინააღმდეგჩვენება ხანგამოშვებით კოჭლოზის დროს?

- ა) ბეტა1 რეცეპტორების პარციული ბლოკადით;
- ბ) ბეტა2-ადრენორეცეპტორების პარციული ბლოკადით;
- გ) ბეტა3-ადრენორეცეპტორების უშუალო ბლოკადით;
- დ) ბეტა2-ადრენორეცეპტორების ბლოკადით და ენდოგენური კატექოლამინების მიერ ალფა1-ადრენორეცეპტორების გააქტივებით.

184) რომელი ბეტა-ადრენობლოკატორის გამოყენებისას დაირღვევა ნაკლებად ატრიოვენტრიკულური გამტარებლობა?

- ა) ატენოლოლი;
- ბ) ბისოპროლოლი;
- გ) პროპრანოლოლი;
- დ) პინდოლოლი;

185) რომელ ბეტა-ადრენობლოკატორს ახასიათებს ვაზოდილატაციური ეფექტი?

- ა) პროპრანოლოლი;
- ბ) ნებივალოლი;
- გ) ოქსპრენოლოლი;
- დ) ალპრენოლოლი;

186) რომელია ყველაზე ხანმოკლე მოქმედი ბეტა-ადრენობლოკატორი?

- ა) ესმოლოლი;
- ბ) პროპრანოლოლი;
- გ) მეტოპროლოლი;
- დ) ატენოლოლი

187) რომელი ბეტა-ბლოკატორი იწვევს ბეტა-1-ადრენორეცეპტორების ბლოკადასთან ერთად პერიფერიულ ვაზოდილატაციას?

- ა) ატენოლოლი;
- ბ) ბისოპროლოლი;
- გ) პროპრანოლოლი;
- დ) ნებივალოლი

188) რით არის განპირობებული ესმოლოლის ხანმოკლე მოქმედება?

- ა) რეცეპტორის კომპლექსიდან მისი სწრაფი დისოციაციით;
- ბ) რეცეპტორის სწრაფი “დაუნ-რეგულაციით”;
- გ) პლაზმის ესთერაზებით დეგრადაციით;
- დ) სწრაფი ელიმინაციით.

189) რომელი მდგომარეობის დროს გამოიყენება ბეტა-ადრენობლოკატორი?

- ა) არტერიული ჰიპერტენზია;
- ბ) ბრონქობსტრუქციული დაავადება;
- გ) წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია;
- დ) ხანგამოშვებითი კოჭლობა.

190) ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელია განსაკუთრებით სახიფათო ბრონქული ასთმის გამწვავების რისკის გამო?

- ა) პროპრანოლოლი;
- ბ) ატენოლოლი;
- გ) აცეპუტოლოლი;
- დ) მეტოპროლოლი.

191) დობუტამინი:

- ა) გამოიყენება მიოკარდიუმის ინფარქტით გამოწვეული კარდიოგენული შოკის დროს;
- ბ) ინტრავენურად ნაჩვენებია გასტროინტესტინური სისხლდენით განვითარებული შოკის დროს
- გ) მაღალ დოზებში აბლოკირებს ალფა-1- ადრენორეცეპტორებს;
- დ) იწვევს ბრადიკარდიას.

192) ბეტა-ადრენობლოკატორები:

ა) ამცირებენ თირკმლის მიერ რენინის პროდუქციას;

ბ) ხელს უწყობენ ჰიპოგლიკემიის სიმპტომების გამოვლენას;

გ) არ მოქმედებენ გულის კუნთის შეკუმშვის ძალაზე;

დ) მათ არ იყენებენ მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

193) რენინის სეკრეცია იზრდება:

ა) ალფა2 ადრენორეცეპტორების აგონისტებით;

ბ) ბეტა1-რეცეპტორების აგონისტებით;

გ) ბეტა2-რეცეპტორების აგონისტებით;

დ) ბეტა1-რეცეპტორების ანტაგონისტებით.

194) ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი იწვევს ცნს-ის ამფეტამინისმაგვარ სტიმულაციას?

ა) დოფამინი;

ბ) ადრენალინი;

გ) ნორადრენალინი;

დ) ეფედრინი.

195) ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან რომელი იმყოფება მაღალი კონცენტრაციით ყველის ტიპის ფერმენტირებულ საკვებ პროდუქტებში?

ა) სეროტონინი;

ბ) დოფამინი;

გ) თირამინი;

დ) ნორადრენალინი.

196) უპირატესად რომელი პრეპარატი გამოიყენება ბრონქული ასთმის სამკურნალოდ?

ა) იზოპროტერენოლი;

ბ) დობუტამინი;

გ) დოფამინი;

დ) ტერბუტალინი.

197) რომელი საშუალება გამოიყენება დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციის – მაგ. ანაფილაქსური შოკის დროს?

ა) ნორადრენალინი;

ბ) ფენილეფრინი;

გ) ადრენალინი;

დ) მეტოქსამინი.

198) ალფა-ადრენორეცეპტორებს?

ა) პრაზოზინი;

ბ) ტერაზოზინი;

გ) დოქსაზოზინი;

დ) ფენოქსიბენზამინი.

199) ფენოქსიბენზამინი:

ა) სელექციური ალფა1-ადრენობლოკატორია;

ბ) ალფა1-ადრენორეცეპტორებთან ერთად აბლოკირებს ალფა2-პრესინაფსური ლოკალიზაციის ადრენორეცეპტორებს;

გ) არ ახასიათებს გამოსატყული პოსტურალური ჰიპოტენზია;

დ) იწვევს ბრადიკარდიას.

200) ბეტა-ადრენობლოკატორების რა თვისება განაპირობებს ბრონქოკონსტრიქციის გამოწვევის ნაკლებ უნარს?

- ა) ბეტა1-ადრენორეცეპტორების სელექციური ბლოკადა;
- ბ) ბეტა1 და ბეტა2- ადრენორეცეპტორების ბლოკადა;
- გ) შინაგანი სიმპათომიმეტიური აქტივობა;**
- დ) ბეტა2-ადრენორეცეპტორების სელექციური ბლოკადა.

201) ქვემოთ დასახელებული პათოლოგიური მდგომარეობის დროს როდისაა შესაძლებელი ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენება გულის რითმის ნორმალიზაციისათვის?

- ა) ჰიპოთირეოდიზმი (მიქსედემა);
- ბ) ჰიპერთირეოდიზმი;**
- გ) შაქრიანი დიაბეტი;
- დ) თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის უკმარისობა.

202) რომელი ბეტა-ადრენობლოკატორის გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში ჰიპოგლიკემიის უფრო ხშირი ეპიზოდები?

- ა) ატენოლოლი;
- ბ) პროპრანოლოლი;**
- გ) ბისოპროლოლი;
- დ) მეტოპროლოლი

203) რით არის განპირობებული ბეტა-ადრენობლოკატორების ზეგავლენით გამოწვეული გვერდითი ეფექტები ცნს-ის მხრივ?

- ა) ლიპიდებში კარგი ხსნადობით;**
- ბ) ჰიდროფილური თვისებებით;
- გ) ბეტა-ადრენორეცეპტორების არასელექციური ბლოკადით;
- დ) შინაგანი სიმპათომიმეტიური აქტივობით.

204) რომელი ბეტა-ადრენობლოკატორის გამოყენებისას ვითარდება უფრო ხშირად გვერდითი ეფექტები – ცივი ზემო და ქვემო კიდურების სიმპტომი?

- ა) პროპრანოლოლი;**
- ბ) ატენოლოლი;
- გ) ბისოპროლოლი;
- დ) მეტოპროლოლი.

205) რით არის განპირობებული ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენებისას ცივი ზემო და ქვემო კიდურების სიმპტომი?

- ა) ბეტა1-რეცეპტორების ბლოკადით;
- ბ) ბეტა2-რეცეპტორების ბლოკადით;**
- გ) შინაგანი სიმპათომიმეტიური აქტივობით;
- დ) აგონიზმით ბეტა2-ადრენორეცეპტორების მიმართ.

206) ადრენალინი:

- ა) უკავშირდება ალფა1, ალფა2, ბეტა1 და ბეტა2 ადრენორეცეპტორებს;**
- ბ) განსაკუთრებით მაღლა სწევს დიასტოლურ არტერიულ წნევას;
- გ) აფართოებს კანის და შინაგანი ორგანოების სისხლძარღვებს;
- დ) გამოიყენება გულის უკმარისობის დროს.

207) იზოპროტერენოლი:

- ა) სელექციური ბეტა1-აგონისტია;
- ბ) უკავშირდება ბეტა1 და ბეტა2 ადრენორეცეპტორებს;**
- გ) ზრდის პერიფერიულ სისხლძარღვთა რეზისტენტობას;
- დ) იწვევს ჰიპოგლიკემიას.

208) დობუტამინი:

ა) ერთნაირი აფინურობით უკავშირდება ბეტა-1 და ბეტა-2 ადრენორეცეპტორებს;

ბ) უპირატესად ბეტა1-ადრენორეცეპტორების სელექციური აგონისტია;

გ) აქვეითებს სისხლის სისტოლურ არტერიულ წნევას;

დ) უპირატესად ხასიათდება ბრონქოდილატაციური ეფექტით.

209) სალბუტამოლი:

ა) თანაბრად ააქტივებს ბეტა1 და ბეტა2 ადრენორეცეპტორებს;

ბ) იწვევს ბრონქოდილატაციას, ვინაიდან ბეტა2-ადრენორეცეპტორების სელექციური აგონისტია;

გ) ზრდის პერიფერიული სისხლძარღვების რეზისტენტობას;

დ) ზრდის დიასტოლურ არტერიულ წნევას.

210) ეფედრინი არაპირდაპირი სიმპათომიმეტიკური ნივთიერებაა, რომელიც თავისი მოქმედების სპექტრით წააგავს:

ა) იზოპრენალინს;

ბ) ნორადრენალინს;

გ) ადრენალინს;

დ) ფენილეფრინს.

211) ბრონქოკონსტრიქციის დროს არჩევის პრეპარატებია:

ა) ალფა1-ადრენორეცეპტორების აგონისტები;

ბ) ბეტა1 და ბეტა2 ადრენორეცეპტორების აგონისტები;

გ) ბეტა2-ადრენორეცეპტორების აგონისტები;

დ) ბეტა3-ადრენორეცეპტორების აგონისტები.

212) ნაზალური კონგესციის (ცხვირის დაცობა) შემთხვევაში ცხვირის წვეთების სახით იყენებენ:

ა) ადრენალინს;

ბ) იზოპროტერენოლი;

გ) სალბუტამოლს;

დ) ფსევდოეფედრინს.

213) ადრენალინი იწვევს:

ა) ბრონქოსპაზმს;

ბ) მიდრიაზს;

გ) კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გაზრდას;

დ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სფინქტერების მოღუნებას.

214) იზოპროტერენოლი იწვევს:

ა) კუჭ-ნაწლავის ტონუსის და პერისტალტიკის შემცირებას;

ბ) გლიკოგენოლიზის შემცირებას;

გ) შარდის ბუშტის ტონუსის გაზრდას;

დ) ეაკულაციას.

215) გულის შეკუმშვის ძალის ყველაზე გამოსატულ გაძლიერებას იწვევს:

ა) ფენილეფრინი;

ბ) მეტოქსამინი;

გ) დობუტამინი;

დ) სალბუტამოლი.

216) დადებითი დრომოტროპული ეფექტით (გულის გამტარებლობის გაზრდა) ხასიათდება:

ა) იზოპროტერენოლი;

ბ) მეტოქსამინი;

გ) ფენილეფრინი;

დ) ტერბუტალინი.

217) დადებითი ბათმოტროპული (გულის აგზნებადობის მომატება) ეფექტით ხასიათდება:

- ა) დობუტამინი;
- ბ) პროპრანოლოლი;
- გ) ფენილეფრინი;
- დ) მეტოქსამინი.

218) არტერიული წნევის მომატებისას რეფლექსური ბრადიკარდიით ხასიათდება:

- ა) ნორადრენალინი;
- ბ) სალბუტამოლი;
- გ) იზოპროტერენოლი;
- დ) ტერბუტალინი.

219) სისხლის დიასტოლური არტერიული წნევის მომატებას მეორადი მესენჯერის – იტვ3 დაგროვების შედეგად იწვევს:

- ა) სალბუტამოლი;
- ბ) ტერბუტალინი;
- გ) ფენილეფრინი;
- დ) იზოპროტერენოლი.

220) ალფა1-ადრენობლოკატორის ფონზე სისხლის არტერიულ წნევას აქვეითებს:

- ა) დობუტამინი;
- ბ) ფენილეფრინი;
- გ) ადრენალინი;
- დ) მეტოქსამინი.

221) მინიმალურ თერაპიულ დოზებში გამოყენებისას ადრენალინის მიმართ ყველაზე მეტ მგრძობელობას ავლენს:

- ა) ალფა-1-ადრენორეკტორი;
- ბ) ალფა-2-ადრენორეკტორი;
- გ) ბეტა-1-ადრენორეკტორი;
- დ) ბეტა-3-ადრენორეკტორი.

222) ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელი ხასიათდება სიმპათომიმეტიური და ადგილობრივი საანესთეზიო თვისებებით?

- ა) ეფედრინი;
- ბ) კოკაინი;
- გ) ფენამინი;
435) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები ავლენენ ანტიკოაგულაციური ეფექტს როგორც *in vivo* ასევე *in vitro*?

- II ჰეპარინი;
- III დიპირიდამოლი;
- III ვარფარინი;
- III ტიკლოპიდინი.

436) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები გამოიყენება მხოლოდ პარენტერულად?

- II ენოქსაპარინი;
- III ტიკლოპიდინი;
- III ვარფარინი;
- III დიპირიდამოლი.

437) \\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები გამოიყენება მხოლოდ პერორულად?

- \\ ვარფარინი;
- \\\\ ტრანექსამის მჟავა;
- \\\\ სტრეპტოკინაზა;
- \\\\ ანისტრეპლაზა;

438) \\\\\\\\ ჰეპარინის ანტიკოაგულაციური მოქმედების მექანიზმი:

- \\ უკავშირდება ანტითრომბინ III-ს და ხელს უწყობს ფერმენტ თრომბინის ინაქტივაციას (ფაქტორი IIa);
- \\\\ აინჰიბირებს გლუტამინის მჟავის ვიტამინ-K დამოკიდებულ γ-კარბოქსილირებას;
- \\\\ უკავშირდება პლაზმინოგენს, წარმოქმნის მასთან აქტიურ კომპლექსს და გადაჰყავს იგი პლაზმინად;
- \\\\ თრგუნავს თრომბოქსან-A₂-ის წარმოქმნას.

439) \\\\\\\\ ჰეპარინის ანტიკოაგულაციური ეფექტის რეალიზაციისას ითრგუნება შედეგების ფაქტორები:

- \\ IIa, VIIa, IXa, Xa;
- \\\\ III, VIII, XIII;
- \\\\ II, XI, XIII;
- \\\\ I, II, V, XIII.

440) \\\\\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მიეკუთვნება ჰეპარინის ანტაგონისტს:

- \\\\ ტრანექსამის მჟავა;
- \\\\ ამინოკაპრონის მჟავა;
- \\ პროტამინ სულფატი;
- \\\\ ფიტონადიონი.

441) \\\\\\\\ ჰეპარინის გვერდითი ეფექტებია:

- \\ სისხლდენა, თრომბოციტოპენია, ალერგიული რეაქციები;
- \\\\ კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული;
- \\\\ მიოკარდიტი;
- \\\\ პლევრიტი.

442) \\\\\\\\ ქვემოთ დასახელებული გვერდითი ეფექტებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ჰეპარინისათვის?

- \\\\ ალოპეცია;
- \\\\ პარადოქსული თრომბოემბოლია;
- \\\\ ოსტეოპოროზი და სპონტანური მოტეხილობები;
- \\ ჭარბთმეანობა.

443) \\\\\\\\ ჰეპარინი გამოიყენება:

- \\\\ არტერიული თრომბოზის პრევენციისა და მკურნალობისთვის;
- \\ ვენური თრომბოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით;
- \\\\ ფიბრინოლიზური (თრომბოლიზური) საშუალების სახით;
- \\\\ ანტიაგრეგანტის სახით.

444) \\\\\\\\ დაბალმოლეკულური (ფრაქციული) ჰეპარინები:

- \\ აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას Xa ფაქტორზე;
- \\\\ აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას IIa ფაქტორზე;
- \\\\ აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას როგორც Xa, ასევე IIa ფაქტორებზე;

\\ არ აძლიერებენ ანტითრომბინი III-ის მოქმედებას Xa და IIa შედეგების ფაქტორებზე;

445) \\ \\ \\ დაბალმოლეკულური ჰეპარინები:

\\ მაღალმოლეკულური ჰეპარინების ტოლფასი ნახევარელიმინაციის პერიოდი გააჩნიათ;

\\ მათი კანქვეშა მიღება ისეთივე ეფექტურობით ხასიათდება, როგორც მაღალმოლეკულური ჰეპარინები;

\\ მაღალმოლეკულურ ჰეპარინებზე უფრო ხანმოკლე ნახევარელიმინაციის პერიოდი გააჩნია;

\\ უფრო ხშირად შეეყვანას საჭიროებენ.

446) \\ \\ \\ ვარფარინი:

\\ მოქმედებს in vivo;

\\ მოქმედებს in vitro;

\\ ხანმოკლე ეფექტი გააჩნია;

\\ მოქმედების ხანმოკლე ლატენტიური პერიოდით ხასიათდება.

447) \\ \\ \\ ვარფარინი მიეკუთვნება:

\\ პირდაპირად მოქმედ ანტიკოაგულაციურ საშუალებებს;

\\ არაპირდაპირად მოქმედ ანტიკოაგულაციურ საშუალებებს;

\\ ფიბრინოლიზურ საშუალებებს;

\\ ანტიაგრეგანტებს.

448) \\ \\ \\ ვარფარინი:

\\ თრგუნავს II, VII, IX, X შედეგების ფაქტორების ვიტამინ K-დამოკიდებული გლუტამინური ნარჩენების გამა-კარბოქსილირებას;

\\ მისი ანტიკოაგულაციური ეფექტი ვლინდება 2-4სთ-ის შემდეგ;

\\ ნახევარელიმინაციის პერიოდი 6-8სთ-ია;

\\ მისი მოხსნის შემდეგ ანტიკოაგულაციური ეფექტი სწრაფად ქრება.

449) \\ \\ \\ ვარფარინის მოქმედებას ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების აქტივობის დათრგუნვის გამო აძლიერებენ:

\\ ციმეტინი (H₂-ჰისტამინური რეცეპტორების ბლოკატორი);

\\ კარბამაზეპინი;

\\ ბარბიტურატები (მაგ. ფენობარბიტალი;

\\ რიფამპინი;

450) \\ \\ \\ ვარფარინის ანტიკოაგულაციურ მოქმედებას ასუსტებენ:

\\ მეტრონიდაზოლი;

\\ ფენობარბიტალი;

\\ ეთანოლი;

\\ ამიოდარონი.

451) \\ \\ \\ ვარფარინის ჭარბ ანტიკოაგულაციურ ეფექტს ამცირებენ:

\\ ფიტონადიონი (ვიტამინი K₁);

\\ ვიტამინი PP;

\\ ვიტამინის B₂;

\\ პროტამინ სულფატი.

452) \\ \\ \\ ვარფარინი კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენება:

\\ არტერიული თრომბოზის პროფილაქტიკისათვის;

\\ ვენური თრომბოზის პრევენციისათვის;

\\ ანტიაგრეგაციული საშუალების სახით;

\\ ფიბრინოლიზური საშუალების სახით.

453) \\ \\ \\ საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა INR (International Normalized Ratio)

წარმოადგენს:

- III პერორული ანტიკოაგულანტების საშუალო დოზას;
- III მინიმალურ ეფექტურ დოზას;
- III მაქსიმალურ ეფექტურ დოზას;
- II თერაპიულ დიაპაზონს.

454) IIII საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა საჭიროებს ვარფარინის დოზის კორექციას, რომლის დროს

INR მიაღწევს:

- III 4,5-6,0;
- III 2-3;
- III 1-2;
- II 2,5-3,5

455) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ვარფარინის დოზას ამცირებენ, როდესაც პროთრომბინის დრო ნორმალური აქტივობის 40%-ის ტოლია;
- II INR (საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა) წარმოადგენს ავადმყოფის პროთრომბინის დროის შეფარდებას საკონტროლო მონაცემებთან;
- III ვარფარინით მკურნალობას იწყებენ მისი დარტყმითი დოზების გამოყენებით;
- III ვარფარინს არ იყენებენ ღრმა ვენების თრომბოზის, წინაგულოვანი ფიბრილაციის და გულის ხელოვნური სარქველების მქონე პაციენტებში.

456) IIII შეარჩიეთ მცდარი პასუხი:

- II ტიკლოპიდინი და კლოპიდოგრელი ფიბრინოლიზური საშუალებებია;
- III ტიკლოპიდინი და კლოპიდოგრელი ანტიაგრეგანტული საშუალებებია;
- III ტიკლოპიდინი თრგუნავს ადფ-დამოკიდებულ აგრეგაციას;
- III გვერდითი ეფექტის სახით ტიკლოპიდინი იწვევს სისხლის დისკრაზიას (განსაკუთრებით ნეიტროპენიას);

457) IIII თრომბოქსინი A₂:

- II ურთიერთქმედებს თრომბოციტების მემბრანაზე ლოკალიზებულ რეცეპტორებზე და ააქტივებს ფოსფოლიპაზა “C”-ს;
- III ამცირებს იტფ-ის წარმოქმნას;
- III აქვეითებს Ca²⁺-ის უჯრედშიდა რაოდენობას;
- III აინჰიბირებს ციკლოოქსიგენაზას აქტივობას.

458) IIII პროსტაგლანდინი I₂ (პროსტაციკლინი):

- II გამომუშავდება სისხლძარღვთა ენდოთელიუმში;
- III წარმოადგენს თრომბოქსანის სინერგისტს;
- III თრგუნავს თრომბოციტების მემბრანაზე თანამოსახელე რეცეპტორებს, უჯრედებში ამცირებს ცამფ-ის რაოდენობას;
- III ზრდის უჯრედშიდა Ca²⁺-ის რაოდენობას და თრომბოციტების აგრეგაციას.

459) IIII ასპირინი:

- III შექცევადად აინჰიბირებს ციკლოოქსიგენაზას და ამცირებს თრომბოქსან A₂-ის (TXA₂) წარმოქმნას;
- II შეუქცევადად აინჰიბირებს ცოგ-ას და ამცირებს TXA₂-ის წარმოქმნას;
- III პროსტაციკლინთან შედარებით იწვევს TXA₂-ის რაოდენობის უფრო ხანმოკლე დაქვეითებას;
- III ანტიაგრეგანტის სახით გამოიყენება მაღალი დოზებით.

460) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ასპირინი არ მოქმედებს პროსტაციკლინის სინთეზზე ენდოთელიუმის უჯრედებში;
- II ასპირინი ამცირებს განმეორებითი მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს;

III სტენოკარდიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის დროს არ შეიძლება ასპირინის კომბინირება ბეტა- ბლოკატორებთან და Ca^{2+} -ის ნელი არხების მახლოკირებელ საშუალებებთან;

III სტენოკარდიის დროს გამოყენებისას ასპირინი ხელს უწყობს დიპირიდამოლის მსგავსი “მოპარვის ფენომენის” განვითარებას.

461) III ფიბრინოლიზური საშუალებები:

II გამოიყენება თრომბოლიზური თერაპიის მიზნით;

III განსაკუთრებით ეფექტურნი არიან მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებიდან 24სთ-ის შემდეგ;

III არ შეიძლება მათი კომბინირება ასპირინთან ერთად მიოკარდიუმის ინფარქტის დროს;

III სტრუქტოკინაზა, უროკინაზა და პლაზმინოგენის ქსოვილოვანი აქტივატორი თანაბრად უწყობენ ხელს პლაზმინოგენის ფიბრინთან შეკავშირებას.

462) III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

II ფიბრინოლიზური საშუალებები ხელს უწყობენ პლაზმინოგენის (პროფიბრინოლიზინის) პლაზმინად გარდაქმნას;

III ადღ და კოლაგენი ამცირებენ თრომბოციტების აგრეგაციას;

III პროსტაციკლინი აძლიერებს თრომბოციტების აგრეგაციას;

III ალტეპლაზას გამოყენება ალერგიული რეაქციებით ხასიათდება.

463) III ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? $NaCl(++)$, $NaHCO_3(-)$, $K(+)$:(შენიშვნა: (+) გამოყოფის გაძლიერება, (-) გამოყოფის შემცირება)

II თიაზიდები;

III K -ის შემნახველი საშუალებები;

III კარბონჰიდრაზას ინჰიბიტორები;

III მარყუჟოვანი დიურეზულიები.

464) III თიაზიდებთან ახლო მდგომ სულფანილამიდურ ნაწარმებს მიეკუთვნება:

III ჰიდროქლოროთიაზიდი;

III ქლორთიაზიდი;

II მეტოლაზონი;

III ქინეტაზონი;

465) III მარყუჟე მოქმედ დიურეზულ საშუალებებს მიეკუთვნება:

II ეტაკრინის მჟავა;

III მეტოლაზონი;

III ქლორთიაზიდი;

III ინდაპამიდი;

466) III კარბონჰიდრაზას ინჰიბიტორებს მიეკუთვნება:

II აცეტაზოლამიდი;

III ფუროსემიდი;

III ინდაპამიდი;

III ქლორთიაზიდი;

467) III ანტიდიურეზული ჰორმონის ანტაგონისტებს იყენებენ:

II ანტიდიურეზული ჰორმონის შეუსაბამო სეკრეციის დროს;

III თირკმლების მწვავე უკმარისობისას;

III გულის უკმარისობის დროს;

III ნეფროგენული უმაქრო დიაბეტის დროს.

468) IIII ოსმოსურ დიურეზულ საშუალებებს მიეკუთვნება:

- II მანიტოლი;
- III ფუროსემიდი;
- III ეტაკრინის მჟავა;
- III ტორსემიდი.

469) IIII თიაზიდური დიურეზული საშუალებების მოქმედების მექანიზმია:

- II ნეფრონის დისტალური მილაკების საწყისი ნაწილში თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას;
- III ჰენლეს მარყუჟის აღმავალ ნაწილის მსხვილ სეგმენტში თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას;
- III ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას ციტოპლაზმური რეცეპტორების მიმართ ადლოსტერონთან კონკურენციის გზით;
- III ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში CO₂ ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით;

470) IIII მარყუჟზე მოქმედი დიურეზული საშუალებები ძირითადად:

- II ზრდიან Na და Cl რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში;
- III სელექციურად ააქტივებენ აპიკალურ მემბრანაში Na, K, 2Cl კონტრანსპორტერს და არღვევენ ამ იონების ტრანსპორტს;
- III ამცირებენ Na რეაბსორბციას პროქსიმალურ მილაკებში, CO₂ ჰიდრატაციის პროცესის დარღვევით;
- III ნეფრონის დისტალური მილაკების საწყის ნაწილში თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას

471) IIII ოსმოსური დიურეზული საშუალებები:

- II თრგუნავენ წყლის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში და მარყუჟის დაღმავალ ნაწილში;
- III თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში;
- III ნეფრონის დისტალურ ნაწილში ამცირებენ აპიკალური მემბრანის განვლადობას Na -თვის ნატრიუმის არხების ბლოკირების შედეგად, რაც იწვევს ნატრიუმის ექსკრეციის გაზრდას და K -ის ექსკრეციის შემცირებას;
- III ამცირებენ პროქსიმალურ მილაკებში Na -ის რეაბსორბციას, CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით.

472) IIII კარბონჰიდრაზას ინჰიბიტორები:

- II აინჰიბირებენ პროქსიმალურ მილაკებში ბიკარბონატების რეაბსორბციას;
- III ნეფრონის მილაკების დისტალურ ნაწილში თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას, რის გამოც ძლიერდება Na -ის, Cl -ის და H₂O-ს გამოყოფა;
- III თრგუნავენ წყლის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში და მარყუჟის დაღმავალ ნაწილში;
- III თრგუნავენ Na და Cl რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში.

473) IIII კალიუმის შემნახველი დიურეზული საშუალებები:

- III აინჰიბირებენ თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში Na -ის რეაბსორბციას CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით;
- II ამცირებენ Na -ის შესვლას შემკრები მილაკების აპიკალური მემბრანის ნატრიუმის სელექციური იონური არხების ბლოკირებით;
- III ამცირებენ ნეფრონის დისტალური მილაკის საწყის ნაწილში Na და Cl რეაბსორბციას;
- III ნეფრონის პროქსიმალურ მილაკებში და მარყუჟის დაღმავალ ნაწილში ამცირებენ წყლის რეაბსორბციას;

474) IIII მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტი კალიუმის შემნახველი დიურეზული საშუალებები:

- ∥ ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას ციტოპლაზმური რეცეპტორების მიმართ აღდოსტერონთან კონკურენციის გზით;
- ∥∥ ამცირებენ Na -ის შესვლას შემკრები მილაკების აპიკალური მემბრანის ნატრიუმის ხელექციური იონური არხების ბლოკირებით;
- ∥∥ ამცირებენ ნეფრონის დისტალური მილაკის საწყის ნაწილში Na და Cl⁻ რეაბსორბციას;
- ∥∥ ამცირებენ პროქსიმალურ მილაკებში Na -ის რეაბსორბციას CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით.

475) ∥∥∥ ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl (+), NaHCO₃ (+++), K⁺ (+) (შენიშვნა: (+) – გამოყოფის მომატება; (-) გამოყოფის შემცირება)

- ∥ კარბონაჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- ∥∥ მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- ∥∥ თიაზიდები;
- ∥∥ მარყუჟოვანი საშუალებები – თიაზიდები;

476) ∥∥∥ ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl (+++), NaHCO₃ (-), K (+). (შენიშვნა: (+) – გამოყოფის მომატება; (-) გამოყოფის შემცირება)

- ∥ კარბონაჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- ∥ მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- ∥∥ თიაზიდები;
- ∥∥ K -ის შემნახველი საშუალებები.

ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი საშუალებები

477) ∥∥∥ ანქსიოლიზურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- ∥ ბენზოდიაზეპინები;
- ∥∥ ბარბიტურატები;
- ∥∥ ეთანოლი;
- ∥∥ ფენოთიაზინები.

478) ∥∥∥ ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- ∥∥ ზოპიკლონი;
- ∥∥ ქლორალჰიდრატი;
- ∥∥ ქლორმეტიაზოლი;
- ∥ დიაზეპამი

479) ∥∥∥ ხანმოკლე მოქმედების ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- ∥∥ ნიტრაზეპამი;
- ∥ ტრიაზოლამი.
- ∥∥ ფლურაზეპამი;
- ∥∥ კლორაზეპატი;

480) ∥∥∥ ხანგრძლივი მოქმედების ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- ∥∥ ტრიაზოლამი;
- ∥∥ ტემაზეპამი;
- ∥ ნიტრაზეპამი.
- ∥∥ ლორაზეპამი;

481) ∥∥∥ ციკლოპროლინის ნაწარმია:

- /// ალპრაზოლამი;
- /// ქლორდიაზეპოქსიდი;
- /// ფლურაზეპამი;
- \\ ზოპიკლონი;

482) /// ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ანქსიოლიზური საშუალებებისთვის?

- \\ ნეიროლეფსიური;
- /// განგაშის საწინააღმდეგო;
- /// ფობიის საწინააღმდეგო;
- /// მიორელაქსაციური;

483) /// ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელია ძირითადად დამახასიათებელი ანქსიოლიზური საშუალებების დიდ დოზებში გამოყენებისას?

- /// ნეიროლეფსიური;
- \\ საძილე;
- /// ანტიპარკინოსული;
- /// დეპრესიის საწინააღმდეგო.

484) /// ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი მიეკუთვნება ბარბიტურის მჟავას ნაწარმებს?

- \\ ფენობარბიტალი;
- /// ზოპიკლონი;
- /// ფლურაზეპამი;
- /// ღიაზეპამი;

485) /// ბენზოდიაზეპინების მოქმედების მექანიზმია:

- \\ აძლიერებენ გამაამინოერბოს მჟავათი (გაემ) განპირობებულ შეკავებას ცნს-ში;
- /// ხელს უწყობენ ცნს-ში გლუტამინის მჟავას დაგროვებას;
- /// ცნს-ში აძლიერებენ ასპარტატის მოქმედებას;
- /// აბლოკირებენ გლიცინის რეცეპტორებს.

486) /// ბენზოდიაზეპინები:

- \\ ხელს უწყობენ გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) გამონთავისუფლებას ნერვული დაბოლოებებიდან და მის გაემA-რეცეპტორებთან შეკავშირებას;
- /// ხელს უწყობენ ნერვული დაბოლოებებიდან გლუტამატის გამონთავისუფლებას და გლუტამატ-რეცეპტორების აქტივაციას;
- /// აბლოკირებენ Ca^{2+} -ის ნელ არხებს.
- /// გლუტამატ-რეცეპტორზე ზემოქმედებით აძლიერებენ გაემ-ის მოქმედებას;

487) /// ბენზოდიაზეპინები:

- \\ ბენზოდიაზეპინურ რეცეპტორზე ზემოქმედებით იწვევენ გაემ-რეცეპტორების კონფორმაციულ ცვლილებებს;
- /// ბარბიტურატულ რეცეპტორზე ზეგავლენით აძლიერებენ გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) მოქმედებას;
- /// გლუტამატ-რეცეპტორზე ზემოქმედებით აძლიერებენ გაემ-ის მოქმედებას;
- /// გლიცინურ რეცეპტორებზე ზემოქმედებით ამცირებენ აგზნებით პროცესებს ცნს-ში.

488) /// ბენზოდიაზეპინები ცნს-ში აძლიერებენ შეკავებით პროცესებს:

- \\ გაემA (გამაამინოერბოს მჟავა) რეცეპტორების აქტივაციით და Cl^{-} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით;
- /// გაემA რეცეპტორების აქტივაციით და Mg^{2+} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით;
- /// ბარბიტურატის რეცეპტორების აქტივაციით და Cl^{-} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის

გაზრდით;

III გლუტამატ რეცეპტორების აქტივაციით და Cl⁻-ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით.

489) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

III მეთანოლი ეთანოლთან შედარებით ნაკლებად ტოქსიკურია;

II მეთანოლით ინტოქსიკაციის მნიშვნელოვანი ადრეული სიმპტომია მხედველობის დარღვევა;

III მეთანოლით მოწამვლისას საჭიროა ალკოჰოლდეჰიდროგენაზას აქტივაცია;

III მეთანოლით მოწმავლისას ადგილი აქვს რესპირატორულ ალკალოზს;

490) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

II გაემ-ის (გამაამინოერბოს მუავა) არ არსებობის შემთხვევაში ბენზოდიაზეპინები და

ბარბიტურატები მცირე დოზებში არ ცვლიან მემბრანის განვლადობას Cl⁻-ის იონების მიმართ;

III გაემ-ის არ არსებობის შემთხვევაში ბენზოდიაზეპინები და ბარბიტურატები მცირე დოზებში ჩვეულებრივ მოქმედებენ მემბრანის განვლადობაზე Cl⁻-ის იონების მიმართ;

III ბარბიტურატები აძლიერებენ ცნს-ში გაემ-დამოკიდებულ შეკავებით პროცესებს Cl⁻-ის იონების გახსნილი არხების რაოდენობის გაზრდით;

III ბენზოდიაზეპინები აძლიერებენ ცნს-ში გაემ-დამოკიდებულ შეკავებით პროცესებს გახსნილ მდგომარეობაში მყოფი Cl⁻-ის იონების არხების ხანგრძლივობის გაზრდით.

491) IIII ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობებიდან როდის არ გამოიყენება ბენზოდიაზეპინები და საძილე საშუალებები?

III ეპილეფსიის და სხვა კონვულსიური მდგომარეობის მკურნალობა;

III ბალანსირებული ანესთეზიის კომპონენტად ინტრავენური შეყვანისას;

III ნერვ-კუნთოვანი დაავადებებისას მიორელაქსაციის მიზნით;

II ანტიპარკინსონული საშუალებების ეფექტის პოტენცირებისათვის.

492) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

II ანქსიოლიზური საშუალებების ტრანკვილიზური და საძილე მოქმედება რეალიზდება გაემ_A (გამაამინოერბოს მუავა) რეცეპტორების აქტივაციით;

III გაემ_A-რეცეპტორი მიეკუთვნება G-პროტეინებთან დაკავშირებულ რეცეპტორს;

III გაემ-რეცეპტორი ტრიმერს წარმოადგენს და იგი შედგება სამი სუბერთეულისაგან;

III გაემ-რეცეპტორი მუსკარინული ქოლინორეცეპტორის მსგავსია.

493) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი არ არის სწორი?

III გაემ-რეცეპტორი მიეკუთვნება იონურ არხებთან დაკავშირებულ რეცეპტორს;

III გაემ-რეცეპტორი პენტამერია და იგი შედგება 2 ალფა (ალფა1), 2-ბეტა (ბეტა1) და გამა (გამა2) სუბერთეულისაგან;

III გაემ-ის მიერ ალფა და ბეტა სუბერთეულების სტიმულაცია ხელს უწყობს მემბრანის Cl⁻-ის იონების განვლადობის მომატებას და მის ჰიპერპოლარიზაციას;

II გაემ-რეცეპტორი რეცეპტორთა იგივე ჯგუფს მიეკუთვნება, რასაც ინსულინის რეცეპტორი.

494) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

II ფლუმაზენილი ბენზოდიაზეპინების კონკურენტული ანტაგონისტია;

III ფლუმაზენილი ხანგრძლივი მოქმედებით ხასიათდება;

III ბარბიტურატები ბენზოდიაზეპინებისგან განსხვავებით ნაკლებად თრგუნავენ ცნს-ას;

III ფლუმაზენილი გამოიყენება ბარბიტურატების ჭარბი დოზირების დროს.

495) IIII ბარბიტურატები:

III ამჟამად ფართოდ გამოიყენება სედაციური და საძილე საშუალებების სახით;

III მათი გამოყენება არ ხასიათდება მათ მიმართ ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებით;

- III ბარბიტურატებით მოწამვლა ნაკლებად საშიშია, ვიდრე ბენზოდიაზეპინებით;
- II ბარბიტურატები იწვევენ ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქციას.

496) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ბენზოდიაზეპინები ღვიძლში ექვემდებარებიან მეტაბოლიზმს დაჟანგვის გზით და იწვევენ ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქციას;
- III ბენზოდიაზეპინების პერორული მიღება იწვევს სუნთქვის გამოსატულ დათრგუნვას;
- II ბენზოდიაზეპინების ინტრავენურმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის დათრგუნვა, განსაკუთრებით ბრონქო-პულმონური დაავადების მქონე პაციენტებში;
- III ბარბიტურატებთან ერთად დანიშნისას გაემ-რეცეპტორების მიმართ კონკურენციის გზით ბენზოდიაზეპინები აქვეითებენ ბარბიტურატების ეფექტს.

497) IIII ბენზოდიაზეპინები:

- II მათი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მიღებისას პრეპარატის უეცარ მოხსნას შეიძლება თან ახლდეს განგაშის შეგრძნება, დეპრესია, უძილობა, გულისრევა;
- III ამცირებენ ბარბიტურატების ეფექტებს;
- III ამცირებენ ალკოჰოლისა და ანტიბიოტიკების საშუალებების ეფექტს;
- III ინტრავენურად შეყვანისას არ ხასიათდებიან ამნეზიური ეფექტით.

498) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ბენზოდიაზეპინები არ უკავშირდებიან პლაზმის ცილებს;
- III ბენზოდიაზეპინები უცვლელი სახით გამოიყოფიან თირკმლების მეშვეობით;
- II ბენზოდიაზეპინების უმრავლესობა ღვიძლში ექვემდებარება მიკროსომულ დაჟანგვას
- III ბენზოდიაზეპინების მეტაბოლიტები როგორც წესი, არააქტიური ნივთიერებებია.

499) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ბენზოდიაზეპინები საერთოდ არ ხასიათდებიან კუმულაციური ეფექტით;
- II ხანდაზმულ ან ღვიძლის დაქვეითებული ფუნქციის მქონე პაციენტებში საჭიროა ბენზოდიაზეპინების დოზის შემცირება;
- III ბენზოდიაზეპინების უეცარი მოხსნისას განვითარებული უკუგების ფენომენი (კოშმარული სიზმრები) განპირობებულია ნელი ძილის ფაზის გაზრდით;
- III ორგანიზმიდან ნელად გამოყოფადი ანქსიოლიზურებისთვის დამახასიათებელია აბსტინენტური სინდრომის უფრო მძაფრი გამოვლენა, ამ ჯგუფის სწრაფად გამოყოფად პრეპარატებთან შედარებით.

500) IIII ქვემოთ დასახელებული ბენზოდიაზეპინებიდან რომლებს ახასიათებთ ხანგრძლივი ნახევარგამოყოფის (T1/2)

- პერიოდი?
- III ალპრაზოლამი;
- III ლორაზეპამი;
- III ოქსაზეპამი;
- II ფლურაზეპამი.

501) IIII ქვემოთ დასახელებული ბენზოდიაზეპინებიდან რომლებს ახასიათებთ ხანმოკლე ნახევარგამოყოფის (T1/2)

- პერიოდი?
- II ტრიაზოლამი
- III ფლურაზეპამი;
- III დიაზეპამი;
- III ნიტრაზეპამი;

502) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- II არსებობს ბენზოდიაზეპინური რეცეპტორების ენდოგენური ლიგანდები;

III ბენზოდიაზეპინები ხასიათებიან ამგზნები ეფექტით პოლისინაფსურ რეფლექსებზე და ისინი აძლიერებენ იმპულსების გადაცემას ჩართულ ნეირონებზე;
III მაღალ დოზებში ბენზოდიაზეპინები აადვილებენ იმპულსების გადაცემას ნერვ-კუნთოვანი შეერთების ადგილას;
III ბენზოდიაზეპინების ცალკე გამოყენება შესაძლებელია ზოგადი ნარკოზის გამოსაწვევად და მის შესანარჩუნებლად.

503) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი ავლენს ანქსიოლიზურ მოქმედებას გაემ-(გამაამინოერბოს მჟავა) ერგულ სისტემებზე მოქმედების გარეშე?
III ფლურაზეპამი;
III პრაზეპამი;
III ოქსაზეპამი;
II ბუსპირონი.

504) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი ავლენს ანქსიოლიზურ მოქმედებას 5-HT_{1A}-სეროტონინული რეცეპტორების მიმართ პარციული აგონისტური ეფექტით?
III ფლუმაზენილი;
III ფენობარბიტალი;
III ტემაზეპამი;
II ბუსპირონი;

505) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
III 5-HT_{1A}-სეროტონინული რეცეპტორების პარციული აგონისტის ანქსიოლიზური ეფექტი ძალიან სწრაფად ვითარდება;
II სეროტონინერგული ნეირონები შუა ტვინის ნაკერის ბირთვში ლოკალიზდებიან და თავის ტვინის მრავალ უბანში პროეცირდებიან, რომლებიც განგაშის ფორმირებაზე არიან პასუხისმგებელი (ჰიპოკამპი, ნუშისებრი სხეული, შუბლის წილი);
III ბეტა-ბლოკატორები არ მოქმედებენ განგაშის ვეგეტატურ გამოვლინებაზე, როგორცაა ტრემორი, ტაქიკარდია, ოფლდენა და დიარეა;
III ფლუმაზენილი ავლენს ანტაგონიზმს ალკოჰოლის, ოპიოიდების და საძილე საშუალებების მიმართ.

506) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მიეკუთვნება იმიდაზოპირიდინის ნაწარმს, რომელიც უკავშირდება ბენზოდიაზეპინურ რეცეპტორებს და ბენზოდიაზეპინების მსგავსად აადვილებს გაემ- (გამაამინოერბოს მჟავა) განპირობებულ პროცესს?
III კლონაზეპამი;
III ნიტრაზეპამი;
II ზოლპიდემი;
III ტრიაზოლამი;

507) IIII ქვემოთ დასახელებული პრეპარატებიდან რომელი იწვევს ნაკლებად გამოხატულ ფსიქომოტორულ დარღვევებს და ნაკლებად მოქმედებს ავტომობილის მართვის უნარზე?
III ღიაზეპამი;
III კლონაზეპამი;
III ნიტრაზეპამი;
II ბუსპირონი.

508) IIII საძილე საშუალებების მოქმედება ნორმალურ ძილზე შემდეგია:
II ამცირებენ დაძინების დროის ხანგრძლივობას (ძილის დადგომის ლატენცურ პერიოდს);
III ხანგრძლივდება სწრაფი ძილის სტადია;
III მოკლდება ნელი ძილის II სტადია;

III ელექტროენცეფალოგრამაზე დომინირებს დესინქრონიზაცია.

509) IIII საძილე პრეპარატების მიღების უეცარი შეწყვეტით განპირობებული მოხსნის სინდრომი ხასიათდება:

- III ნელი ძილის ფაზის გახანგრძლივებით;
- II სწრაფი ძილის განვითარების სიხშირისა და მისი ხანგრძლივობის გაზრდით;
- III როგორც სწრაფი, ასევე ნელი ძილის გახანგრძლივებით;
- III სწრაფი და ნელი ძილის ფაზების შემოკლებით.

510) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ფენობარბიტალი არ ხასიათდება სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედებით;
- III სედაციური და საძილე საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებით იცვლება მათი ლეტალური დოზის ფარგლები;
- II სედაციური და საძილე საშუალებებისთვის დამახასიათებელია ჯვარედინი ტოლერანტობის განვითარება;
- III ბარბიტურატები ანელევენ საგულე გლიკოზიდების, დიკუმაროლის, ფენიტონის და გრიზოფულვინის (სოკოს საწინააღმდეგო საშუალება) მეტაბოლიზმს.

511) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ბენზოდიაზეპინები სუსტ მჟავებს წარმოადგენენ და კარგად შეიწოვებიან კუჭიდან;
- II ბენზოდიაზეპინები სუსტი ფუძეებია, რომლებიც ყველაზე კარგად თორმეტგოჯა ნაწლავიდან შეიწოვება (pH- ის მაღალი მნიშვნელობისას);
- III ბარბიტურატები როგორც სუსტი ფუძეები ჩვეულებრივ კარგად შეიწოვებიან თორმეტგოჯა ნაწლავიდან;
- III ბარბიტურატები როგორც სუსტი ტუტეები ჩვეულებრივ კარგად შეიწოვებიან კუჭიდან და წერილი ნაწლავებიდან.

512) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- II ცხიმში ხსნადობა ძირითად როლს თამაშობს სედაციური და საძილე საშუალების ცნს-ში მოხვედრის სიჩქარის განსაზღვრად;
- III ბარბიტურატები თავის ტვინიდან სწრაფად გადანაწილდებიან ჯერ ცხიმოვან ქსოვილში, ხოლო შემდეგ ჩონჩხის კუნთებში;
- III ბენზოდიაზეპინების მეტაბოლური ტრანსფორმაციის და ელიმინაციის სიჩქარე ადამიანებში ძალიან მაღალია, რის გამოც მათი ძირითადი ფარმაკოლოგიური ეფექტები სწრაფად წყდება;
- III ბენზოდიაზეპინები და ბარბიტურატები არ აღწევენ პლაცენტურ ბარიერში.

513) IIII ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

- III ბენზოდიაზეპინები ნაკლებად უერთდებიან პლაზმის ცილებს;
- II ფენობარბიტალის ნახევარგამოყოფის ($T_{1/2}$) პერიოდი 4-5 დღეს შეადგენს;
- III ფენობარბიტალის გამოყოფის სიჩქარის გაზრდა შესაძლებელია შარდის მჟავიანობის გაზრდით;
- III ფენობარბიტალი სუსტ ფუძეს წარმოადგენს.

514) IIII ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობებიდან როდის არ გამოიყენება ბენზოდიაზეპინები და საძილე საშუალებები?

- III განგაშის მოსახსნელად;
- III საძილე ეფექტისთვის;
- III სედაციის და ამნეზიის მიზნით სამედიცინო და ქირურგიული პროცედურების წინ;
- II ანტიპარკინსონული საშუალებების ეფექტის პოტენცირებისათვის.

515) IIII ცენტრალურ ნერვულ სისტემაში “სწრაფ სიგნალიზაციას” ახორციელებენ შემდეგი ნეირომედიატორები:

- II აცეტილქოლინი (ნიკოტინის მაგვარი ეფექტები);
- III აცეტილქოლინი (მუსკარინული ეფექტები);

- III სუბსტანცია “P”;
- III ანგიოტენზინი;

516) III ცენტრალურ ნერვულ სისტემაში “ნელი სიგნალიზაციის” ნეირომედიატორებია:
II კატექოლამინები და სეროტონინი;
III გლუტამინის მჟავა;
III გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
III ასპარაგინის მჟავა.

517) III ცნს-ში ამგზნები მედიატორებია:
II გლუტამატი;
III გლიცინი;
III გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
III “ენდოჰეპინები”.

518) III ცნს-ში შემაკავებელი მედიატორებია:
II გლიცინი;
III გლუტამატი;
III ასპარტატი;
III სუბსტანცია “P”

519) III ზურგის ტვინის შუამდებარე ნეირონების ძირითადი შემაკავებელი მედიატორია:
III ნორადრენალინი;
III სეროტონინი;
III გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
II გლიცინი;

520) III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
III გაემ-A რეცეპტორები ლოკალიზებულია პრესინაფსურად;
III გაემ-B რეცეპტორები ლოკალიზებულია პოსტსინაფსურად;
II გაემ-A რეცეპტორები ბლოკირდება ბიკუკულინით (კრუნჩხვითი შხამი);
III გაემ-B რეცეპტორების აქტივაცია ზრდის გლუტამატის და გაემ-ის გამოყოფას.

521) III შეარჩიეთ მცდარი დებულება:
III გაემ-B რეცეპტორები ლოკალიზებულია პრესინაფსურად და მათი აქტივაცია ამცირებს გლუტამატის და გაემ-ის გამოყოფას;
III გაემ-B რეცეპტორების აქტივაცია ხორციელდება ბაკლოფენით (პარაქლორფენილ-გაემ);
III ბაკლოფენი ამცირებს გლუტამატის გამონთავისუფლებას ზურგის ტვინში და ავლენს ანტისპასტიკურ მოქმედებას;
II აცეტილქოლინი ძირითადად შემაკავებელი მედიატორია ცნს-ში.

522) III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
III დისულფირამი ასტიმულირებს ალკოჰოლდეჰიდროგენაზას, რაც იწვევს აცეტალდეჰიდის დაშლას;
II დისულფირამის ფონზე ალკოჰოლის მიღებისას ადგილი აქვს სახის ჰიპერემიას, თავის პულსირებულ ტკივილს, გულისრევას, პირღებინებას, ჰიპოტენზიას და ცნობიერების დარღვევას;
III დისულფირამის ეფექტი სწრაფად ვლინდება;
III დისულფირამის მოხსნიდან მისი ეფექტი სწრაფად ქრება.

523) III ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
II ბაკლოფენი გამოიყენება გაფანტული სკლეროზის დროს სპასტიკურობის შესამცირებლად;
III ტეტანუსის ტოქსინი აძლიერებს ნერვული დაბოლოებებიდან გლიცინის გამონთავისუფლებას;
III ცენტრალურ ნეირონებზე ლოკალური აპლიკაციისას კატექოლამინები ძირითადად იწვევენ აგზნებით ეფექტებს;

III აზოტის ოქსიდი (NO) ფუნქციონირებს როგორც მხოლოდ პერიფერიული ნერვული სისტემის მედიატორი.

- 524) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- II გლიცინური რეცეპტორები ბლოკირდება სტრიქნინით (კრუნჩხვითი შხამი);
 - III ტეტანუსის ტოქსინი არ იწვევს კრუნჩხვებს;
 - III გლუტამატ-რეცეპტორების აქტივაცია ცნს-ზე ხასიათდება შემაკავებელი ეფექტებით;
 - III პიკროტოქსინი (კრუნჩხვითი შხამი) ხელს უწყობს Cl⁻-ის იონური არხების გახსნას.

- 525) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- II გლუტამატურ რეცეპტორებს მიეკუთვნება NMDA (N-მეთილ-D-ასპარტატი), AMPA (აღფა-ამინო-3-ჰიდროქსი-5 მეთილ-4-იზოქსაზოლპროპიონის მჟავა) და კაინატური (აქტივირდება კაინის მჟავით);
 - III გლუტამატ რეცეპტორების აგონისტებს იყენებენ კონვულსიური მდგომარეობების საწინააღმდეგოდ;
 - III აცეტილქოლინის ამგზნები ეფექტები ცენტრალურ ნეირონებზე ძირითადად ხორციელდება ნიკოტინური რეცეპტორების მეშვეობით;
 - III მონოამინები (კატექოლამინები, სეროტონინი) სამიზნე უჯრედების მცირე რაოდენობაზე მოქმედებენ.

- 526) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან:
- III ბენზოდიაზეპინები ხსნიან Cl⁻-ის იონის არხებს მათზე უშუალო ზემოქმედებით;
 - III ბენზოდიაზეპინები ავლენენ ანალგეზურ ეფექტს;
 - III კლინიკური გაუმჯობესება განგაშის შეგრძნების ნიველირების თვალსაზრისით ვლინდება ბენზოდიაზეპინებით მკურნალობის დაწყებიდან 2-4 კვირის შემდეგ;
 - II ყველა ბენზოდიაზეპინს გააჩნია სედაციური ეფექტი;

- 527) IIII ბენზოდიაზეპინები უეფექტოა:
- III ტეტანუსი;
 - II შიზოფრენია;
 - III ეპილეფსიური გულყრები;
 - III უძილობა;

- 528) IIII ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელია ხანმოკლედ მოქმედი საძილე პრეპარატი?
- III ფენობარბიტალი;
 - III დიაზეპამი;
 - III ქლორდიაზეპოქსიდი;
 - II თიოპენტალი;

- 529) IIII ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
- III ფენობარბიტალი ავლენს ანალგეზურ თვისებებს;
 - III დიაზეპამი და ფენობარბიტალი ხელს უწყობენ ციტოქრომ-P-450 ფერმენტული სისტემის ინდუქციას;
 - III ფენობარბიტალი ეფექტურია მწვავე ხანგამოშვებითი პორფირიის სამკურნალოდ;
 - II ფენობარბიტალი იწვევს რესპირატორულ დეპრესიას, რომელიც ალკოჰოლით ძლიერდება;

- 530) IIII ქვემოთ დასახელებული ბენზოდიაზეპინებიდან რომელს გააჩნია ყველაზე მაღალი უკუგების პოტენციალი (“კომმარული სიზმრები”) მათი ხანგრძლივი თერაპიისას უეცარი მოხსნის შემთხვევაში?
- II ტრიაზოლამი;
 - III ფლურაზეპამი;
 - III ალპრაზოლამი;
 - III ტემაზეპამი;

531)\\\\ ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
\\\\ ეთანოლი ტოქსიკურ დოზებში ექვემდებარება პირველი რიგის მეტაბოლიზმს;
\\\\ ფენობარბიტალით გამოწვეული სუნთქვის დეპრესია შეიძლება მოიხსნას ეთანოლით;
\\\\ დისულფირამი ხელს უწყობს აცეტალდეჰიდის დაჟანგვას;
\\\\ ბენზოდიაზეპინების გამოყენება შესაძლებელია ქრონიკული ალკოჰოლიზმის მოხსნის სიმპტომების ნიველირებისათვის.

532) \\\\ დიაზეპამი:
\\\\ იწვევს სედაციას, რომელიც ქრება ორგანიზმიდან პრეპარატის ელიმინაციის შემდეგ;
\\\\ ურთიერთქმედებს ამიტრიპტილინთან (ანტიდეპრესანტი), რითაც ვლინდება ადიციური სედაციური ეფექტი;
\\\\ ეფექტურია ასთმით დაავადებულ პირებში შეტევის დროს განგაშის შეგრძნების კუპირების მიზნით;
\\\\ შესაძლებელია მისი პერორული მიღება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კრუნჩხვების პრევენციის მიზნით;

533) \\\\ ინაჰალაციურ სანარკოზო საშუალებებს მიეკუთვნება:
\\\\ თიოპენტალ-ნატრიუმი;
\\\\ ჰექსენალი;
\\\\ კეტამინი;
\\\\ აზოტის ქვეჟანგი (მალხენი აირი).

534) \\\\ არაინჰალაციური სანარკოზო საშუალებებს მიეკუთვნება:
\\\\ პროპოფოლი;
\\\\ იზოფლურანი;
\\\\ ენფლურანი;
\\\\ მეტოქსიფლურანი;

535) \\\\ ბარბიტურის მჟავას წარმოებული არაინჰალაციური (ინტრავენური) სანარკოზო საშუალებებია:
\\\\ კეტამინი;
\\\\ თიოპენტალ-ნატრიუმი;
\\\\ ჰალოტანი;
\\\\ იზოფლურანი;

536) \\\\ არაბარბიტურული ინტრავენური სანარკოზო საშუალებებია:
\\\\ კეტამინი;
\\\\ თიოპენტალ-ნატრიუმი;
\\\\ ჰექსენალი;
\\\\ მეტოქსიფლურანი.

537) \\\\ ინჰალაციურ სანარკოზო საშუალებებს იყენებენ:
\\\\ პრემედიკაციისათვის;
\\\\ ზოგადი ნარკოზის შესანარჩუნებლად;
\\\\ ნარკოზში შეყვანის მიზნით;
\\\\ ტკივილების დასაყუჩებლად.

538) \\\\ არაინჰალაციურ სანარკოზო საშუალებებს იყენებენ:
\\\\ ზოგადი ნარკოზის შესანარჩუნებლად;
\\\\ ნარკოზში შესაყვანად;
\\\\ პრემედიკაციის მიზნით;
\\\\ ტკივილის დასაყუჩებლად.

539) ||| შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
||| ჰალოტანი იწვევს ნარკოზს მისი შეყვანიდან 1-2 წთ-ში;
||| თიოპენტალი ხანგრძლივი ნარკოზის გამოსაწვევად ჩვეულებრივ იზოლირებულად შეჰყავთ;
||| ჰალოტანი არ არის ჰეპატოტოქსიკური;
||| ჰალოტანი უფრო ჰეპატოტოქსიკურია იზოფლურანთან შედარებით.

540) ||| ნარკოზში შეყვანა:
||| ძირითადად მიიღწევა ინჰალაციური სანარკოზო საშუალებით;
||| ძირითადად მიიღწევა არაინჰალაციური სანარკოზო საშუალების ინტრავენური შეყვანით;
||| ვითარდება 30წთ-ის შემდეგ;
||| ძალიან ხანგრძლივი პროცესია.

541) ||| ეთერის ნარკოზი:
||| სხვა ინჰალაციური სანარკოზოებიდან განსხვავებით ხასიათდება აგზნების ხანმოკლე სტადიით;
||| ფართოდ გამოიყენება დღევანდელ სამედიცინო ქირურგიულ პრაქტიკაში;
||| იწვევს სასუნთქი გზების ლორწოვანის გაღიზიანებას;
||| ნარკოზიდან გამოსვლისას ნაკლები პოსტჰიპნოტური ეფექტი გააჩნია.

542) ||| თიოპენტალი და პროპოფიდი:
||| მათი შეყვანისას ნარკოზი ძალიან სწრაფად ვითარდება რამოდენიმე წამში და ნარჩუნდება ინჰალაციური სანარკოზოების შეყვანით;
||| აგზნების გამოხატული სტადია გააჩნიათ;
||| მოქმედებენ საათების განმავლობაში;
||| ახასიათებთ ნარკოზიდან ნელი გამოსვლა.

543) ||| პრემედიკაციის მიზანია:
||| ნარკოზის ჩატარების წინ პარასიმპათიკური ეფექტების პრევენცია (ბრადიკარდია, ბრონქული ჯირკვლების სეკრეციის შემცირება);
||| ტკივილის ზღურბლის დაქვეითება;
||| ოპერაციის შემდგომი ღებინების მოხსნა;
||| გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის გაუმჯობესება.

544) ||| შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
||| თიოპენტალის დოზის გადაჭარბებისას აღინიშნება კარდიოდეპრესია და სუნთქვის დათრგუნვა;
||| პროპოფოლისთვის დამახასიათებელია ღებინების და გაბრუნების შეგრძნება ნარკოზიდან გამოსვლისას;
||| კეტამინი თრგუნავს ჰალუცინაციებს;
||| კეტამინი არ გამოიყენება პედიატრიულ პრაქტიკაში;

545) ||| შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
||| სისხლში უფრო ხსნადი სანარკოზო ნივთიერების (მაგ. ჰალოტანი) გამოყენებისას ნარკოზი უფრო ნელა ვითარდება, ვინაიდან სისხლის გასაჯერებლად საანესთეზიო საშუალების მეტი დოზაა საჭირო;
||| ნარკოზის დადგომის სინქარე არ არის დამოკიდებული სისხლში სანარკოზო ნივთიერების ხსნადობასთან;
||| აზოტის ოქსიდით სისხლის გასაჯერებლად მისი შედარებით მეტი რაოდენობაა საჭირო;
||| აზოტის ქვეყანგს მაღალი სანარკოზო აქტივობა გააჩნია, რის გამოც მას იზოლირებულად იყენებენ.

546) ||| ჰალოტანი:
||| წარმოადგენს სუსტ სანარკოზო საშუალებას;
||| ლორწოვანი გარსების მიმართ გამაღიზიანებელი მოქმედებით ხასიათდება;
||| ხელს უწყობს მიოკარდიუმის სენსიბილიზირებას კატექოლამინების მიმართ და არითმიების

განვითარებას;

\\ \\ \\ პალოტანი არ ექვემდებარება ღვიძლში მეტაბოლიზმს და არ წარმოქმნის მეტაბოლიტებს.

547) \\ \\ \\ იზოფლურანი:

\\ \\ \\ პალოტანის მსგავსად ხელს უწყობს მიოკარდიუმის სენსიბილიზაციას ადრენალინის მიმართ;

\\ \\ \\ პალოტანთან შედარებით უფრო გამოხატული კარდიოდეპრესიული მოქმედება გააჩნია;

\\ აქვეითებს სისხლის არტერიული წნევას სისხლძარღვთა პერიფერიული წინააღმდეგობის შემცირების ხარჯზე;

\\ \\ \\ პალოტანთან და ენფლურანთან შედარებით უფრო მაღალი ხსნადობის კოეფიციენტი (სისხლი/აირი) გააჩნია.

548) \\ \\ \\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

\\ \\ \\ სანარკოზო საშუალებების უმრავლესობას დიდი თერაპიული სიგანე გააჩნია;

\\ ენფლურანს და იზოფლურანს დაბალი ჰეპატოქსიკურობა გააჩნიათ;

\\ \\ აზოტის ქვეყანგის გამოყენება საკმარისია ქირურგიული ნარკოზის შესანარჩუნებლად;

\\ \\ ქირურგიული ნარკოზის სიღრმე არ არის დამოკიდებული სანარკოზო ნივთიერებების კონცენტრაციაზე.

549) \\ \\ \\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

\\ \\ სანარკოზო საშუალებების მოქმედების სიძლიერე უშუალო კავშირშია მათ ლიპოფილობასთან;

\\ \\ \\ პალოტანი ხელს არ უწყობს ტაქიკარდიის განვითარებას ადრენალინის შეყვანისას;

\\ \\ ნარკოზის დროს განვითარებულ აგზნების სტადიისას ადგილი აქვს თავის ტვინის ქერქის უშუალო სტიმულაციას;

\\ \\ ინჰალაციური სანარკოზო საშუალებების უმრავლესობა ამცირებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას.

550) \\ \\ \\ ინჰალაციური სანარკოზო საშუალებები:

\\ \\ ზრდიან თირკმლის სისხლძარღვების პერიფერიულ წინააღმდეგობას და ამცირებენ თირკმლის სისხლის მიმოქცევას;

\\ \\ აზოტის ქვეყანგი სხვა ინჰალაციური სანარკოზოებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად აღუწებს საშვილოსნოს მიომეტრიუმს;

\\ \\ ავთვისებიანი ჰიპერთერმია შეიძლება უფრო მეტად განვითარდეს არაინჰალაციური სანარკოზო საშუალებების გამოყენებისას;

\\ \\ ავთვისებიანი ჰიპერთერმიისას ადგილი აქვს ბრადიკარდიას, ჰიპოტენზიას, ტემპერატურის მომატებას და კუნთების რიგილობას.

551) \\ \\ \\ თიოპენტალ-ნატრიუმი:

\\ \\ ზრდის სისხლის არტერიულ წნევას და გულის სისტოლურ მოცულობას, ამცირებს ვენური კალაპოტის მოცულობას;

\\ \\ როგორც სხვა ბარბიტურატები იწვევს რესპირატორულ დეპრესიას და ამცირებს მოგრძო ტვინის სუნთქვის ცენტრის მგრძობელობას ნახშირორჟანგის მიმართ;

\\ \\ ზრდის ცერებრულ მეტაბოლიზმს და ჟანგბადის უტილიზაციას;

\\ \\ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევა იზრდება;

552) \\ \\ \\ პროპოფოლი:

\\ \\ კეტამინის მსგავსად მაღლა სწევს არტერიულ წნევას;

\\ \\ ზრდის სისხლძარღვთა პერიფერიულ წინააღმდეგობას;

\\ \\ ხშირად იწვევს პოსტოპერაციულ ღებინებას;

\\ \\ ანესთეზიიდან სწრაფი გამოსვლის უნარი გააჩნიათ.

553) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი იწვევს ე.წ. “დისოციურულ ანესთეზიას”:

\\ \\ კეტამინი;

\\ \\ ეტომიდატი;

- III ჰექსენალი;
- III თიოპენტალ-ნატრიუმი.

554) IIII “დისოცირებული ანესთეზიისათვის” დამახასიათებელია:

- II კატატონია, ამნეზია, ანალგეზია;
- III ანალგეზია, ჰიპერრეფლექსია, ამნეზია;
- III კატატონია, ჰიპოტენზია, ბრადიკარდია;
- III ამნეზია, ბრადიკარდია, ანალგეზია.

555) IIII “დისოცირებული ანესთეზია”:

- II გამოწვეულია გლუტამ-NMDA-რეცეპტორების ბლოკადით;
- III ბენზოდიაზეპინური რეცეპტორების ბლოკადით;
- III გლუტამატ-AMPA რეცეპტორების ბლოკადით;
- III კაინატური-K-რეცეპტორების ბლოკადით.

556) IIII კეტამინი:

- II ხელს უწყობს ჰიპერდინამიური სინდრომის (ტაქიკარდია, არტერიული ჰიპერტენზია) განვითარებას;
- III ნელა ნაწილდება თავის ტვინში და ნელა გადადის ნაკლებად პერფუზირებად ქსოვილებში;
- III თრგუნავს სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსს;
- III თავისი მოქმედების დაწყებიდან უკვე მე-2 წთ-ზე სისხლის პლაზმაში აქვეითებს ადრენალინის და ნორადრენალინის რაოდენობას.

557) IIII კეტამინი:

- II აქვეითებს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას;
- III ამცირებს ქალასშიდა წნევას;
- III ინჰალაციური სანარკოზოებისაგან განსხვავებით შეიძლება მისი გამოყენება ქალასშიდა წნევის მომატებისას;
- II მას ასევე იყენებენ გერიატრიულ პრაქტიკაში.

558) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

- II რაც უფრო სისხლში ხსნადია სანარკოზო საშუალება, მით უფრო ნელა მიიღწევა მისი წონასწორული კონცენტრაცია და მით უფრო ხანგრძლივია ნარკოზის ინდუქციის პერიოდი;
- III ნარკოზისგან გამოსვლის პერიოდი უფრო ნელა სისხლში ცუდად ხსნადი სანარკოზო ნივთიერებებისთვის და უფრო სწრაფია – კარგად ხსნადი ნივთიერებებისთვის;
- III თიოპენტალის საანესთეზიო მოქმედება ნაკლებად არის დამოკიდებული თავის ტვინიდან სხვა ქსოვილებში, განსაკუთრებით კუნთებში მის რედისტრიბუციაზე;
- III რაც უფრო ჰიდროფილურია სანარკოზო ნივთიერება, მით მისი ნაკლები კონცენტრაციაა საჭირო ნარკოზის გამოსაწვევად.

559) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

- III სანარკოზო ნივთიერების მოქმედების სიძლიერე მისი მინიმალური საანესთეზიო კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია;
- II აზოტის ქვეჟანგისთვის დამახასიათებელია ნარკოზის სწრაფი ინდუქცია და ნარკოზიდან სწრაფი გამოსვლა;
- III აზოტის ქვეჟანგის ნარკოზის გამოსაწვევად ძირითადად იზოლირებულად გამოიყენება, სხვა საანესთეზიოსთან კომბინირების გარეშე;
- III ჰალოტანი მისი მინიმალური საანესთეზიო კონცენტრაციისას (0,76%) უფრო სუსტად მოქმედებს, ვიდრე აზოტის ქვეჟანგი – მისი 10% კონცენტრაციისას.

560) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

- III კეტამინი ძირითადად პედიატრიულ პრაქტიკაში გამოიყენება ხანგრძლივი დიაგნოსტიკური პროცედურების დროს;
- III კეტამინი იწვევს ზოგად ანესთეზიას ცნობიერების დაკარგვით;

- \\ კეტამინს ახასიათებს პოსტოპერაციული ჰალუცინაციების ხშირი შემთხვევები;
- \\ კეტამინი თრგუნავს ცენტრალურ სიმპათიკურ ტონუსს.

561) \\ \\ \\ ქვემოთ მოყვანილი საშუალებებიდან რომელია ყველაზე სუსტად მოქმედი ინჰალაციური სანარკოზო საშუალება?

- \\ \\ ეთილის სპირტი;
- \\ \\ ჰალოტანი;
- \\ \\ მეტოქსიფლურანი;
- \\ \\ აზოტის ქვეჟანგი.

562) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი სანარკოზოებიდან რომელს ახასიათებს ნარკოზის გამოსაწვევად ყველაზე ხანმოკლე ინდუქციის პერიოდი, როდესაც თითოეული მათგანი შეჰყავთ ქირურგიული ნარკოზის გამოსაწვევად საკმარის კონცენტრაციაში?

- \\ \\ ეთილის ეთერი;
- \\ \\ ჰალოტანი;
- \\ \\ მეტოქსიფლურანი;
- \\ \\ აზოტის ქვეჟანგი;

563) \\ \\ \\ ენდოგენურ ოპიოიდურ პეპტიდებს მიეკუთვნება:

- \\ \\ მორფინი;
- \\ \\ დიამორფინი;
- \\ \\ ლევორფანოლი;
- \\ \\ B-ენდორფინი;

564) \\ \\ \\ ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- \\ \\ ნიტრაზეპამი;
- \\ \\ ფენელზინი;
- \\ \\ მეფენამის მუავა;
- \\ \\ ბუპრენორფინი;

565) \\ \\ \\ ძლიერად მოქმედი ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებია:

- \\ \\ მეპტაზინოლი;
- \\ \\ პენტაზოცინი;
- \\ \\ კოდეინი;
- \\ \\ ბუპრენორფინი.

566) \\ \\ \\ ზომიერად/სუსტად მოქმედ ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- \\ \\ მორფინი;
- \\ \\ დიამორფინი (ჰერონი);
- \\ \\ მეთაღონი;
- \\ \\ დიჰიდროკოდეინი.

567) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი ენდოგენური პეპტიდური საშუალებებიდან რომლებია პენტაპეპტიდური შენების?

- \\ \\ ბეტა-ენდორფინი;
- \\ \\ გამა-ენდორფინი;
- \\ \\ ალფა-ენდორფინი;
- \\ \\ მეთ-ენკეფალინი.

568) \\ \\ \\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით: ოპიოიდური რეცეპტორებია:

- \\ \\ მიუ, დელტა და კაპა;
- \\ \\ მიუ, AMPA და k(კაინატური);

\\ NMDA, დელტა და კაპპა;

\\ გაემ-ი, NMDA, დელტა;

569) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელს ააქტივებს უპირატესად ენკეფალინები?

\\ მიუ;

\\ დელტა;

\\ კაპპა;

\\ სიგმა;

570) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელს ააქტივებს უპირატესად დინორფინები?

\\ მიუ;

\\ კაპპა;

\\ სიგმა;

\\ ეფსილონი;

571) \\ \\ \\ მიუ-ოპიოიდური რეცეპტორების აქტივაცია იწვევს:

\\ ანალგეზიას;

\\ სუნთქვის გახშირებას;

\\ არტერიული წნევის მომატებას;

\\ კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გაზრდას;

572) \\ \\ \\ კაპპა-ოპიოიდური რეცეპტორების აქტივაცია იწვევს:

\\ დისფორიას;

\\ ეიფორიას;

\\ ჰიპერალგეზიას;

\\ ჰალუცინაციებს;

573) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელთა აგზნება ხასიათდება ფსიქოზომიმეტიური (ჰალუცინოგენური), ფენციკლინიდინის მაგვარი ეფექტით?

\\ მიუ;

\\ კაპპა;

\\ დელტა;

\\ სიგმა.

574) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი პეპტიდებიდან რომელი წარმოადგენს ბეტა-ენდორფინის პრეკურსორს?

\\ ლიპოკორტინი;

\\ პროოპომელანოკორტინი;

\\ სომატოტროპული ჰორმონი;

\\ ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი;

575) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებებიდან რომელი მათგანი წარმოადგენს მიუ რეცეპტორების პარციულ (ნაწილობრივ) აგონისტს?

\\ დიამორფინი (ჰეროინი);

\\ მორფინი;

\\ პეტიდინი;

\\ ბუპრენორფინი.

576) \\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებებიდან რომელი წარმოადგენს

კაპა რეცეპტორების აგონისტს და მიუ რეცეპტორების ანტაგონისტს?

- III ბუპრენორფინი;
- III მორფინი;
- III პეტიდინი;
- II ნალბუფინი;

577) IIII პენტაზოცინი წარმოადგენს:

- II კაპა რეცეპტორების აგონისტს და და მიუ რეცეპტორების აგონისტს (ანტაგონისტს);
- III კაპა და დელტა რეცეპტორების ანტაგონისტს;
- III კაპა რეცეპტორების აგონისტს და დელტა რეცეპტორების ანტაგონისტს;
- III კაპა რეცეპტორების ანტაგონისტს და მიუ რეცეპტორების აგონისტს;

578) IIII ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები ხელს უწყობენ შემდეგი სახის ტკივილის კუპირებას:

- III კბილის ტკივილი;
- III იშიორადიკულიტი;
- III ტენდავაგინიტი;
- II ტრანემული ტკივილი (მოტეხილობის დროს).

579) IIII ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების ქრონიკული გამოყენებისას მათ მიმართ ვითარდება:

- III ტაქიფილაქსია;
- III იდიოსინკრაზია;
- II ტოლერანტობა;
- III სენსიბილიზაცია;

580) IIII ნოციცეპტური (ტკივილით გამოწვეული) იმპულსები ნოციცეპტორებიდან პირველადი აფერენტული ბოჭკოებით გადაეცემა:

- II ზურგის ტვინის უკანა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე;
- III ზურგის ტვინის წინა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა შუამდებარე ნეირონზე;
- III ზურგის ტვინის გვერდით რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე;
- III ზურგის ტვინის წინა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე.

581) IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

- II ვისცერული ტკივილი აღმოცენდება გულის, ნაღვლის და შარდის ბუშტის დაზიანებისას;
- III სომატური ტკივილის დროს ნოციცეპტური იმპულსების გადაცემა ცნს-ში წარმოებს მიელინური C-ბოჭკოებით;
- III ნეიროგენული ტკივილი ეფექტურად კუპირდება ოპოიოდური ანალგეზიური საშუალებებით;
- III ნეიროგენული ტკივილი ნაკლებად კუპირდება ანტიდეპრესანტებით;

582) IIII ნოციცეპტური იმპულსების გამტარი გზებში კონტრალატერალური გადართვა წარმოებს:

- III ჰიპოკამპში;
- II რეტიკულურ ფორმაციაში;
- III ნუშისებრ სხეულში (ამიგდალა);
- III ლურჯი ხალის (locus coeruleus) მიდამოში;

583) IIII ქვემოთ ჩამოთვლილი ტკივილიდან ყველაზე კარგად რომლის ნიველირებას შეუწყობენ ხელს ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები?

- III თავის ტკივილი;
- III ბურსიტის დროს არსებული ტკივილი;
- III სამწვერა ნერვის ნევრალგია;
- II მიოკარდიუმის ინფარქტი.

591) \\\ \\\ \\\ ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებისას მათ მიერ გამოწვეული რომელი გვერდითი ეფექტი არ განიცდის შემცირებას?

- \\\ ჰიპოტენზია;
- \\\ ბრადიკარდია;
- \\\ ჰისტამინის ლიბერაცია;
- \\ ეაბზობა და მიოზი.

592) \\\ \\\ \\\ ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ხანგრძლივი მიღებისას:

- \\\ მათ მიმართ ვითარდება მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება;
- \\\ მათ მიმართ ვითარდება მხოლოდ ფიზიკური დამოკიდებულება;
- \\ ვითარდება როგორც ფსიქიკური ასევე ფიზიკური დამოკიდებულება;
- \\\ მხოლოდ ტოლერანტობა.

593) \\\ \\\ \\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებიდან რომლისთვისაა დამახასიათებელი ანტიმუსკარინული ეფექტი (ტაქიკარდიის სახით)?

- \\\ ნალბუფინი;
- \\\ მორფინი;
- \\ პეტიდინი;
- \\\ პენტაზოცინი;

594) \\\ \\\ \\\ ბუპრენორფინი:

- \\ წარმოადგენს მიუ-ოპიოიდური რეცეპტორების პარციულ აგონისტს;
- \\\ მორფინზე ხანმოკლე მოქმედება ახასიათებს;
- \\\ ნალოქსონი ადვილად ხსნის მის მიერ გამოწვეულ სუნთქვის დათრგუნვის ეფექტს;
- \\\ ეფექტურია მხოლოდ პარენტერული შეყვანისას;

595) \\\ \\\ \\\ ნალბუფინი:

- \\ წარმოადგენს კაპა ოპიოიდური რეცეპტორების აგონისტს და მიუ- რეცეპტორების ანტაგონისტს;
- \\\ წარმოადგენს მიუ- რეცეპტორების აგონისტს და კაპა ოპიოიდური რეცეპტორების ანტაგონისტს;
- \\\ ანალგეზიური მოქმედებით მნიშვნელოვნად სჭარბობს მორფინს;
- \\\ სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის უნარით გაცილებით სჭარბობს მორფინს;

596) \\\ \\\ \\\ პენტაზოცინი:

- \\ ძალიან ძლიერად მოქმედი ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებაა;
- \\\ კარგად აქუჩებს ანთებითი ხასიათის ტკივილებს;
- \\\ იწვევს ძლიერ ეიფორიას;
- \\ წარმოადგენს კაპა და ოპიოიდური რეცეპტორების აგონისტს და მიუ-რეცეპტორების პარციულ აგონისტს ან სუსტ ანტაგონისტს;

597) \\\ \\\ \\\ კოდეინი:

- \\ პერორული მიღებისას ცუდად შეიწოვება;
- \\\ ოპიოიდური რეცეპტორების მიმართ მაღალი აფინურობა ხასიათებს;
- \\ ღვიძლში დიმეთილირდება მორფინად;
- \\\ ძალიან ხშირად იწვევს დიარეას;

598) \\\ \\\ \\\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.
კოდეინი:

- \\ მორფინზე მეტი ეფექტურობით გამოირჩევა ხველის რეფლექსის დათრგუნვის თვალთახედვით;
- \\\ მორფინის ექვივალენტურია ეიფორიის გამოწვევის მხრივ;
- \\\ მორფინზე ძლიერი ანალგეზიური საშუალებაა;
- \\\ სინთეზური ოპიოიდური საშუალებაა;

599) \\\ \\\ \\\ ნალოქსონი:

- III იწვევს სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას პაციენტებში, რომლებიც მანამდე არ იღებდნენ ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს;
- II გამოიყენება მორფინით გამოწვეული სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის დროს;
- III ხაგრძლივი მოქმედება გააჩნია;
- III ნარკოტიკების მიმართ დამოკიდებულების მქონე ინდივიდებში არ შეუძლია მოხსნის სინდრომის გამოწვევა;

600) IIII მეთადონი:

- III მორფინთან შედარებით ნაკლები ანალგეზიური ეფექტი გააჩნია;
